
რეგიონებიდან თბილისში სასწავლებლად ჩამოსული
ეთნიკური უმცირესობების აკადემიური და
სოციალური ინტეგრაცია: ბარიერები და მხარდამჭერი
გარემო

კვლევის ანგარიში

ნინო მჭავანაძე, ქართლოს ქარუმიძე, რევაზ ჩარკვიანი

დეკემბერი, 2025 წელი

გამოცემის შესახებ

გამომცემელი: ახალგაზრდობისა და სოციალური კვლევის ცენტრი (YSRC)
საქართველოს უნივერსიტეტი
გამოცემის ადგილი: თბილისი, საქართველო
გამოცემის წელი: 2025



ავტორები:

ნინო მჭავანაძე ქართლოს ქარუმიძე
რევაზ ჩარკვიანი

ციტირების ფორმა

APA სტილი: მჭავანაძე, ნ., ქარუმიძე, ქ., & ჩარკვიანი, რ. (2025). „რეგიონებიდან თბილისში სასწავლებლად ჩამოსული ეთნიკური უმცირესობების აკადემიური და სოციალური ინტეგრაცია; იდენტობის საკითხები“. ახალგაზრდობისა და სოციალური კვლევის ცენტრი (YSRC), საქართველოს უნივერსიტეტი.

ზოგადი სტილი: ნინო მჭავანაძე, ქართლოს ქარუმიძე, და რევაზ ჩარკვიანი. 2025. „რეგიონებიდან თბილისში სასწავლებლად ჩამოსული ეთნიკური უმცირესობების აკადემიური და სოციალური ინტეგრაცია; იდენტობის საკითხები“ ახალგაზრდობისა და სოციალური კვლევის ცენტრი (YSRC), საქართველოს უნივერსიტეტი.

პასუხისმგებლობის შეზღუდვა

ამ ანგარიშში გამოთქმული მოსაზრებები და დასკვნები არ წარმოადგენს საქართველოს უნივერსიტეტის ან სხვა რომელიმე ორგანიზაციის ოფიციალურ პოზიციას.

საავტორო უფლება და ლიცენზია

© 2025 ახალგაზრდობისა და სოციალური კვლევის ცენტრი (YSRC)

კვლევის შედეგების შეჯამება

წინამდებარე კვლევის ანგარიში წარმოადგენს თვისებრივი კვლევის შედეგებს, რომელიც 2025 წლის ოქტომბერ-ნოემბრის თვეში ჩატარდა და რომლის მიზანიც რეგიონებიდან თბილისში სასწავლებლად ჩამოსული აზერბაიჯანული და სომხური წარმოშობის სტუდენტების აკადემიური და სოციალური ინტეგრაციის საკითხების შესწავლაა; უფრო კონკრეტულად, კვლევა ანალიზებს იმ ბარიერებსა და გამოწვევებს, რომლებსაც სტუდენტები უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში აწყდებიან და აფასებს უნივერსიტეტში არსებულ მხარდამჭერ გარემოს.

კვლევის შედეგები ადასტურებს უკვე არსებულ ცოდნასა და მოლოდინს საკითხის გარშემო, რომ თბილისში სასწავლებლად ჩამოსული აზერბაიჯანული და სომხური წარმოშობის სტუდენტებისთვის ქართული ენის არასაკმარისი ცოდნა ფუნდამენტურ გამოწვევად რჩება, რომელიც „დომინოს ეფექტის“ პრინციპით განსაზღვრავს სტუდენტის წარუმატებლობას სხვა სფეროებშიც. ეს პრობლემა სათავეს არა უნივერსიტეტში, არამედ სკოლებში იღებს, სადაც კვლევაში მონაწილე რესპონდენტების შეფასებით, სწავლების ხარისხი კრიტიკულად დაბალია, რაც ხშირად კვალიფიციური პედაგოგების დეფიციტითა და მოძველებული სასწავლო რესურსებით არის განპირობებული. შედეგად, ენობრივი კომპეტენციის ნაკლებობა აფერხებს სტუდენტების ლექციებში ჩართულობას, დისკუსიებში მონაწილეობასა და ტერმინოლოგიის გაგებას, რაც საბოლოო ჯამში აკადემიური მოსწრების გაუარესებასა და სტუდენტების პასიურობას იწვევს.

მიუხედავად იმისა, რომ „1+4“ პროგრამა¹, რესპონდენტების მიერ შეფასებულია, როგორც კრიტიკულად მნიშვნელოვანი მექანიზმი უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობისთვის, კვლევამ გამოკვეთა პროგრამის თანმდევი უარყოფითი ეფექტებიც. კერძოდ, მოსამზადებელ, ქართული ენის შემსწავლელ კურსზე ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი სტუდენტები იზოლირებულად, მხოლოდ ეთნიკური უმცირესობების გარემოში სწავლობენ, რის გამოც, ბაკალავრიატის პირველ კურსზე გადასვლისას, კონკურენტულ, სრულად ქართულენოვან გარემოსთან გამკლავება უჭირთ. ინტეგრაციის ნაცვლად, საუნივერსიტეტო სივრცეში შეინიშნება სეგრეგაციის, დაყოფის მკაფიო ტენდენცია, სადაც აზერბაიჯანული და სომხური წარმოშობის სტუდენტები ქმნიან ჩაკეტილ „ეთნიკურ კლასტერებს“ და ძირითადად თავისივე ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლებთან ურთიერთობენ. კვლევის მიხედვით, ინტეგრაციის ტვირთი ძირითადად მხოლოდ ეთნიკურ უმცირესობებს აკისრიათ, რადგან ქართველი სტუდენტების დამოკიდებულება მათდამი, მართალია ნეიტრალურია, თუმცა

¹ 2010 წლიდან ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს საქართველოში უმაღლესი განათლების მიღება გამარტივებული სისტემით, ე.წ. „1+4“ პროგრამის საშუალებით შეუძლიათ, რომელიც ითვალისწინებს ზოგადი უნარების გამოცდის ჩაბარებას სომხურ აზერბაიჯანულ, აფხაზურ, ოსურ ენებზე და უმაღლესი განათლების მიღების შესაძლებლობას სათანადო ქულების დაგროვების შემთხვევაში. ახალგაზრდები ერთი წლის განმავლობაში გადიან ქართულ ენაში მომზადების კურსს, 60 კრედიტის დაგროვების შემთხვევაში კი სწავლას მათთვის სასურველ ფაკულტეტზე აგრძელებენ (შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი; n.d.).

ხასიათდება პასიურობით და ურთიერთობის ინიციატივის ნაკლებობით. აღსანიშნავია, რომ რიგ შემთხვევებში ამ ჩაკეტილობას კიდევ უფრო აღრმავებს გენდერული ბარიერები, განსაკუთრებით აზერბაიჯანული და სომხური წარმოშობის გოგოებისთვის გარკვეული რეგიონებიდან, სადაც ოჯახური კონტროლისა და ტრადიციების გამო “სხვებთან” სოციალიზაცია მკაცრად შეზღუდულია.

უნივერსიტეტების მხრიდან ინსტიტუციური მხარდაჭერა სუსტია, რასაც განსაკუთრებით სახელმწიფო უნივერსიტეტებში შემთხვევაში, დიდი სალექციო ჯგუფების არსებობა განაპირობებს, რაც ინდივიდუალური მიდგომის შესაძლებლობას ზღუდავს. ამას ემატება ის ფაქტორიც, რომ რესპონდენტების განმარტებით, ლექტორების დიდ ნაწილს არ გააჩნია მულტიკულტურულ ჯგუფებთან მუშაობის სათანადო უნარები; რაც რიგ შემთხვევებში აკადემიური პერსონალის მხრიდან არაეთიკური ან ღიად დისკრიმინაციული დამოკიდებულებების გამოხატვაშიც აისახება.

კვლევამ ასევე გამოკვეთა იდენტობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი საკითხები. მიუხედავად იმისა, რომ კვლევაში მონაწილე აზერბაიჯანული და სომხური წარმოშობის სტუდენტები თავს საქართველოს მოქალაქეებად მიიჩნევენ, რადგან აქ გაიზარდნენ, ისინი თავს ზოგჯერ მაინც „უცხოელებად“ გრძნობენ. აღსანიშნავია, რომ აზერბაიჯანული წარმოშობის ახალგაზრდებში შეინიშნება თურქულ იდენტობასთან სიახლოვე.

კვლევის მიხედვით, ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაცია ამ ეტაპზე ზედაპირულია და აზერბაიჯანული და სომხური წარმოშობის სტუდენტები ორმაგი - აკადემიური და სოციალური - გამოწვევის წინაშე დგანან. მდგომარეობის გამოსასწორებლად აუცილებელია კომპლექსური მიდგომა, რომელიც მოიცავს სასკოლო დონეზე სწავლების ხარისხის ძირეულ გაუმჯობესებას, ხოლო უნივერსიტეტის დონეზე მიზნობრივი სოციალური პროგრამებისა და მენტორინგის სისტემების დანერგვა-გამლიერებას. ასევე კვლევა აჩვენებს, რომ კრიტიკულად მნიშვნელოვანია აკადემიური პერსონალის გადამზადება კულტურული სენსიტიურობისა და მულტიკულტურულ ჯგუფებთან მუშაობის მიმართულებით.

სარჩევი

კვლევის შედეგების მოკლე შეჯამება	2
სარჩევი	4
1. კონტექსტის მიმოხილვა	5
2. კვლევის შედეგები	6
2.1 ენობრივ ბარიერებთან დაკავშირებული გამოწვევები	6
2.2 იდენტობა და სოციო-კულტურული ფაქტორები ინტეგრაციის პროცესში	15
2.3 ინსტიტუციური გარემო და მხარდაჭერის მექანიზმები: არსებული პრაქტიკა და აღქმული ეფექტიანობა	21
3. დასკვნა	26
4. გამოყენებული ლიტერატურა	28
დანართი	30
კვლევის მეთოდოლოგია	30
შერჩევა და სამიზნე ჯგუფები	31
მონაცემთა ანალიზი	33
ეთიკასთან დაკავშირებული საკითხები	33
კვლევის შეზღუდვები	33

1. კონტექსტის მიმოხილვა

საქართველოში ჩატარებული კვლევები მიუთითებს, რომ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ახალგაზრდები აწყდებიან, როგორც აკადემიურ სირთულეებს, ისე ინტეგრაციასთან დაკავშირებულ ბარიერებს.

აკადემიური ინტეგრაციის პროცესში არსებული სირთულეები ხშირად სათავეს ზოგადი განათლების საფეხურზე იღებს. არსებული კვლევები მიუთითებს, რომ არაქართულენოვან სკოლებში მწვავედ დგას კვალიფიციური კადრების დეფიციტი, მომველბული სასწავლო მეთოდებისა და ბილინგვური განათლების არაეფექტური განხორციელების საკითხები. შესაბამისად, აბიტურიენტები უმაღლეს სასწავლებლებში ხვდებიან არა მხოლოდ ენობრივი, არამედ ზოგადი აკადემიური უნარების დეფიციტით, რასაც „1+4“ პროგრამა სრულად ვერ აკომპენსირებს (Tabatadze & Gorgadze, 2017).

ამავე მოსაზრებას აგრძელებს „სოციალური სამართლიანობის ცენტრის“ კვლევა, რომლის თანახმად, „1+4“ პროგრამის მოსამზადებელი კურსის დასრულების შემდეგ, ბაკალავრიატის საფეხურზე გადასვლისას, სტუდენტებს აკადემიური ენის დამლევა უჭირთ. ლექტორების მხრიდან ხშირად მათი ენობრივი კომპეტენციის გათვალისწინება არ ხდება, რაც სტუდენტებში იწვევს დემოტივაციასა და აკადემიური მოსწრების გაუარესებას (Social Justice Center, 2021). გარდა ამისა, ტაბატაძე და გორგაძე (2017) თავიანთ ნაშრომებში აღნიშნავენ, რომ ენა არა მხოლოდ კომუნიკაციის საშუალება, არამედ აკადემიური სწავლების, შინაარსის გაგების ინსტრუმენტია. სტუდენტები, რომლებსაც არ აქვთ მაღალი ენობრივი კომპეტენცია, ხშირად ვერ ერთვებიან ლექციებსა და დისკუსიებში, რაც მათ მოტივაციას ამცირებს და სწავლის მიტოვების რისკს ზრდის.

არსებული კვლევები ასევე აჩვენებს, რომ უნივერსიტეტებში შეინიშნება ეთნიკური ნიშნით სეგრეგაციის ტენდენცია. საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშებში აღნიშნულია, რომ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი სტუდენტები ხშირად თავისივე ეთნიკურ ჯგუფის წარმომადგენლებთან ურთიერთობენ და ნაკლებად ახერხებენ ქართველ სტუდენტებთან დამეგობრებას. ამის მიზეზი კი ხშირად ენობრივი კომპლექსი - შიში, რომ საუბრისას შეცდომას დაუშვებენ და დაცინვის ობიექტი გახდებიან, და კულტურული დისტანციაა - განსხვავებული ტრადიციები და ღირებულებების ქონა (Public Defender of Georgia, 2020).

ლიტერატურა ასევე მიუთითებს, რომ მიმღები საზოგადოების, ეთნიკური უმრავლესობის დამოკიდებულება კრიტიკულია ინტეგრაციისთვის. კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრის (CRRC) მონაცემები აჩვენებს, რომ საქართველოში ჯერ კიდევ არსებობს

დისტანცირებული დამოკიდებულება² ეთნიკური უმცირესობების მიმართ. ხშირად, ეთნიკური უმრავლესობის წარმომადგენელი სტუდენტები არ იჩენენ ინიციატივას ურთიერთობის დასამყარებლად, რაც უმცირესობების წარმომადგენლებს გაუცხოებისა და „მეორეხარისხოვნების“ განცდას უჩენს (CRRC Georgia, 2019; Wheatley, 2017).

უნივერსიტეტის პერსონალისა და სერვისების როლი კრიტიკულია. საერთაშორისო და ადგილობრივი კვლევები (მაგ. ეუთოს უმაღლესი კომისრის ოფისი ეროვნულ უმცირესობათა საკითხებში) ხაზს უსვამს, რომ ფორმალური განათლების მიღმა, უნივერსიტეტებმა ინკლუზიური გარემო უნდა უზრუნველყოს. თუმცა, ქართულ რეალობაში სტუდენტური სერვისები ხშირად მხოლოდ ადმინისტრაციულ საკითხებზეა ორიენტირებული და ნაკლებად - ფსიქო-სოციალურ მხარდაჭერაზე ან კულტურათაშორის დიალოგზე (Tabatadze, 2019).

არსებული ლიტერატურის, კვლევების მიმოხილვა ცხადყოფს, რომ მიუხედავად „1+4“ პროგრამის წარმატებისა, ეთნიკური უმცირესობების სტუდენტები თბილისში აწყდებიან ორმაგ გამოწვევას: **აკადემიურ სირთულეებს ენობრივი კომპეტენციის გამო და სოციალურ იზოლაციას.**

წინამდებარე კვლევა კი, რომელიც თვისებრივი მეთოდების (სიღრმისეული ინტერვიუები, ფოკუს ჯგუფები) გამოყენებით იკვლევს ამ საკითხებს, შეავსებს არსებულ ცოდნას სტუდენტების პირადი გამოცდილებებისა და ემოციური დამოკიდებულებების შესახებ.

2. კვლევის შედეგები

2.1 ენობრივ ბარიერთან დაკავშირებული გამოწვევები

კვლევის შედეგების მიხედვით, რეგიონებიდან თბილისში სასწავლებლად ჩამოსული აზერბაიჯანული და სომხური წარმოშობის სტუდენტებისთვის ენობრივი ბარიერი უმთავრესი გამოწვევაა, რომელიც როგორც მათ აკადემიურ მოსწრებას, ისე ინტეგრაციასთან დაკავშირებულ საკითხებსაც უკავშირდება.

აკადემიური პროცესი და ენობრივი ბარიერი

კვლევაში მონაწილე აზერბაიჯანული და სომხური წარმოშობის სტუდენტები აღნიშნავენ, რომ ზოგჯერ, ენობრივი ბარიერის გამო ლექციებზე საკუთარი აზრების გამოხატვა უჭირთ, მათთვის ლექციაზე მოსმენილი საუბრის გაგება რთულია, ხოლო - ქართულ ენაზე საგანთან დაკავშირებული ტერმინები ხშირად გაუგებარი. ამ პრობლემებს, კვლევაში მონაწილე

² 2021 წლის მონაცემებით, ეთნიკურად ქართველების 75%-77% ამბობს, რომ მოუწონებდა ქართველს საქმიან ურთიერთობებს საქართველოში მცხოვრებ სომეხთან ან აზერბაიჯანელთან, თუმცა მხოლოდ 42%-50% ამბობს, რომ მოუწონებდა ქართველ ქალს ქორწინებას საქართველოში მცხოვრებ აზერბაიჯანელთან ან სომეხთან.

ლექტორებიც ადასტურებენ და ამბობენ, რომ ხშირად აზერბაიჯანული და სომხური წარმოშობის ქართველ სტუდენტებს უჭირთ ლექციების გაგება, სემინარების მომზადება და დავალებების შესრულება. სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთი ლექტორის თქმით, სტუდენტები შესაძლოა ახერხებდნენ მასალის ზეპირად გადმოცემას, მაგრამ უჭირთ სიღრმისეული ანალიზი ან მაგალითების მოყვანა. ასევე, მათთვის რთულია ტექნიკური და პროფესიული ტერმინოლოგიების გაგება. გარდა ამისა, კვლევაში მონაწილე ლექტორების შეფასებით, ენის ბარიერის გამო სტუდენტები სემინარებზე პასიურობენ, მათ ქართულ ენაზე საუბრის კომპლექსი აქვთ და პრეზენტაციების გაკეთებისგანაც თავს იკავებენ. ზოგჯერ, ისინი ითხოვენ პრეზენტაციის ბოლოს, სხვა სტუდენტების აუდიტორიიდან გასვლის შემდეგ, ინდივიდუალურად (და არა ჯგუფთან ერთად) ჩაბარებას. ჯგუფური სამუშაოების შესრულებისას კი გუნდის ლიდერობას თავს არიდებენ, რაც ლექტორების შეფასებით, სავარაუდოდ, იმის შიშითაა გამოწვეული, რომ ჯგუფის ნამუშევარს ხარისხიანად ვერ წარადგენენ. გარდა სალექციო მასალის ათვისებასთან დაკავშირებული პრობლემებისა, კვლევაში მონაწილე ლექტორთა ნაწილი წერითი დავალებების შესრულებასთან დაკავშირებულ სირთულეებზეც ამახვილებს ყურადღებას. როგორც ერთ-ერთი ლექტორი აღნიშნავს, ეს ყველაზე ნათლად გამოცდებზე ჩანს, როცა სტუდენტებს უჭირთ როგორც შეკითხვების გაგება, ისე აზრის წერილობით გადმოცემა.

როგორც ფოკუს ჯგუფების ანალიზი აჩვენებს, სალექციო მასალების აღქმასთან დაკავშირებული პრობლემების გამკლავებას ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი სტუდენტები სხვადასხვა გზით ცდილობენ, ისინი ხშირად იყენებენ ლექსიკონებს, ზოგჯერ კი კურსელებსა და ლექტორებს სთხოვენ დახმარებას. იშვიათ შემთხვევებში მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ ლექტორისთვის დახმარების თხოვნა ერიდებათ. როგორც კვლევაში მონაწილე ლექტორები აღნიშნავენ, ენობრივი ბარიერით გამოწვეულ აკადემიურ პრობლემებთან გასამკლავებლად სტუდენტები სალექციო მასალებს ზოგჯერ რუსულ ენაზეც ითხოვენ, გარდა ამისა, იყენებენ ხელოვნურ ინტელექტს (ChatGPT).

აღსანიშნავია, რომ ლექტორებთან ურთიერთობის კუთხით კვლევამ გამოავლინა როგორც დადებითი ასევე უარყოფითი გამოცდილებები. ფოკუს ჯგუფებში მონაწილე სტუდენტების ძირითადი ნაწილი საუბრობს ლექტორების მხარდაჭერაზე, აღნიშნავენ, რომ ხშირად ლექტორები სტუდენტებს ამხნევენ, ესაუბრებიან მარტივ ენაზე და მათ აქტიურობას აფასებენ. თუმცა, ამავდროულად ღია დისკრიმინაციისა და აგრესიის შემთხვევებიც ფიქსირდება, მაგალითად, კერძო უნივერსიტეტის ერთ-ერთმა აზერბაიჯანელმა სტუდენტმა აღნიშნა, რომ ზოგი ლექტორი აგრესიულია და პირდაპირ უთქვამთ: „რატომ არ იცი [ქართული ენა], როგორ ხარ ამ ქვეყნის მოქალაქე...?!“.

ქართული ენის ცოდნის თვითშეფასება

ენის ცოდნის დონის თვითშეფასებისას, წარმოშობით სომეხ და აზერბაიჯანელ მონაწილეთა მხოლოდ მცირე ნაწილი აღნიშნავს, რომ ქართული ენა სათანადოდ იცის, ასეთი შემთხვევები

ძირითადად აზერბაიჯანული წარმოშობის სტუდენტებში დაფიქსირდა და ძირითადად უკავშირდება იმას, რომ სკოლის ბოლო სასწავლო საფეხური ქართულენოვან სკოლებში გაიარეს. ასევე, ენის ცოდნის დადებითი თვითშეფასება მცირე შემთხვევებში იმ რესპონდენტებს შორისაც შეინიშნება, რომლებსაც ქართულენოვან სკოლებში არ უსწავლიათ, მაგრამ სკოლაში ქართული ენის პროფესიონალი მასწავლებლის ჰყავდათ.

მონაწილეების ძირითადი ნაწილი, რომელიც ამბობს, რომ ზოგადად, მათი ენის ცოდნის დონე ქართველი მეგობრების, ნაცნობებთან კომუნიკაციის საშუალებით გაუმჯობესდა ძირითადად კერძო უნივერსიტეტების სტუდენტები არიან, ვინაიდან კერძო უნივერსიტეტებში მოსამზადებელი კურსები არ არსებობს; ხოლო ისინი ვინც აღნიშნავენ, რომ მოსამზადებელი კურსის საშუალებით გაუმჯობესდა ენის ცოდნის დონე სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებს წარმოადგენენ. აღსანიშნავია, რომ ერთ-ერთ შემთხვევაში, მონაწილე, რომელიც სახელმწიფო უნივერსიტეტში მოსამზადებელ კურსზე სწავლობდა, მაგრამ ამავდროულად ქართულენოვან სკოლაში ჰქონდა ზოგადი განათლება მიღებული, აღნიშნა, რომ მოსამზადებელ კურსი მას ვერ ეხმარება ენის დონის გაუმჯობესებაში, ვინაიდან იმავე საკითხებს ასწავლიან, რაც სკოლაში უკვე ისწავლეს.

“*„მე ვფიქრობ, რომ ჩემი გავლილი მასალა, ანუ ეს რომელ მასალასაც ახლა გავივლი, წინასწარ ვიცოდი სკოლიდან და ახალ რამეებს არ ვსწავლობ და ამიტომ, ჩემი ცოდნაც არ გაუმჯობესდება“ - ქალი, აზერბაიჯანული წარმოშობის, სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი*

დამატებით, ფოკუს ჯგუფების მიმდინარეობისას გამოიკვეთა, რომ რესპონდენტები, რომლებიც სწავლის პარალელურად დასაქმებულები იყვნენ, დისკუსიებში მონაწილეობისას ქართული ენის უფრო გამართული ცოდნით გამოირჩეოდნენ. მონაწილეები თავადაც აღნიშნავდნენ, რომ სამსახურში - ქართულ გარემოში აქტიურად ყოფნა დაეხმარა მათ ქართული ენის დონის გაუმჯობესებაში. კვლევის ანალიზი ასევე აჩვენებს, რომ აზერბაიჯანული წარმოშობის მონაწილეები, რომლებიც ამჟამად თბილისში არ ცხოვრობენ და რეგიონებიდან ჩამოდიან ლექციებზე დასასწრებად, ქართულ ენასთან შეხება მხოლოდ ლექციების დროს აქვთ, ვინაიდან ლექციის შემდეგ ისევ აზერბაიჯანულად მოლაპარაკე ადამიანების გარემოცვაში უწევთ ყოფნა. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული პრობლემა ერთ შემთხვევაში ისეთ რესპონდენტთანაც დაფიქსირდა, რომელიც თბილისში საცხოვრებლად გადმოვიდა.

“*„მე მაქვს ერთი ერთი პრობლემა, რომ ხელს მიშლის. ლექციაზე, უნივერსიტეტში ქართულად ვსაუბრობ, ქართულად ვლაპარაკობ, ვწერ, ვუსმენ, ნუ რაღაცეები. სახლში ვბრუნდები უკვე აზერბაიჯანულად ვლაპარაკობ, მეგობრებთან ერთად დავდივარ და*

კიდევ აზერბაიჯანულად ვლაპარაკობთ. ეს ხელს მიშლის...” - ქალი, აზერბაიჯანული წარმოშობის, სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი

ქართული ენის შესწავლის დემოტივაცია: ზოგადი განათლების სისტემური ხარვეზები

საბოლოო ჯამში, ქართული ენის არასათანადო ცოდნას კვლევაში მონაწილე სტუდენტები სკოლაში ქართული ენის დაბალი ხარისხით სწავლებას უკავშირებენ - აღნიშნავენ, რომ სკოლაში მათ შორის ქართული ენის გაკვეთილზე ქართულად არ საუბრობენ, ხოლო, ქართული ენის მასწავლებლები ხარისხიან ცოდნას ვერ გადმოსცემენ. რამდენიმე რესპონდენტმა აღნიშნა, რომ ქართულს ეთნიკურად არაქართველი, მათივე თანასოფელი (სომეხი, აზერბაიჯანელი) ასწავლიდა, რომელიც მათი შეფასებით, ენას კარგად თავადაც არ ფლობდა.

რეგიონებში სწავლების დაბალ ხარისხზე ყურადღებას კვლევაში მონაწილე ლექტორებიც ამახვილებენ. რესპონდენტები თანხმდებიან, რომ ეთნიკური უმცირესობების სტუდენტების წინაშე მდგარი ენობრივი და სოციალური ბარიერების ფუნდამენტური მიზეზები არა უნივერსიტეტში, არამედ რეგიონულ სკოლებში არსებულ სისტემურ პრობლემებშია. ლექტორების შეფასებით, ქართული ენის სწავლება რეგიონულ სკოლებში, ფაქტობრივად არ ხდება. როგორც ერთ-ერთი რესპონდენტი აღნიშნავს, „*ქართული ენა პრაქტიკულად არ ისწავლება*“, „*ბილინგუური სწავლება არ არის*“. სწორედ ამიტომ ხდება აუცილებელი “1+4” პროგრამა, რომელიც, რეალურად, საქართველოს მოქალაქეს, რომელმაც საჯარო სკოლა დაამთავრა არ უნდა სჭირდებოდეს. ერთ-ერთი ლექტორი კი დამატებით აღნიშნავს, რომ სკოლაში ქართული ენის შესწავლის რეალური მოტივაცია არ არსებობს, რადგან უნივერსიტეტში მოსახვედრად ენის ცოდნა ფაქტობრივად არ მოითხოვება. როგორც “1+4” პროგრამის ერთ-ერთი დამფუძნებელი, ლექტორი აღნიშნავს, უნივერსიტეტი უკვე „*შედეგებს ხედავს*“ და არა მიზეზებს. ეს შედეგები კი კომპლექსურია და მოიცავს როგორც სტუდენტებს შორის აკადემიური უნარების დეფიციტს, ისე ქართული ენის სწავლების კრიტიკულად დაბალ ხარისხს - სტუდენტები რეგიონებიდან ხშირად „*ძალიან დაბალი ზოგადი უნარებით*“ გამოირჩევიან. მათ არ აქვთ გამომუშავებული „*დასწავლის უნარები*“ და სკოლიდანვე ორიენტირებულები არიან „*გადაწერაზე*“, ვიდრე მასალის გააზრებაზე. რესპონდენტის შეფასებით, ამას ხელს უწყობს სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორებიც; მაგალითად, აგრარულ რეგიონებში სეზონური სამუშაოების დროს (როგორცაა მაგალითად, მოსავლის აღების პერიოდი) სასწავლო პროცესი „*საერთოდ მოშლილია*“.

აკადემიური უნარების დეფიციტზე ყურადღებას ამახვილებს ერთ-ერთი არასამათავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი და ეთნიკური უმცირესობებთან დაკავშირებული საკითხების მკვლევარი (ექსპერტი). რესპონდენტის თქმით, ხშირად პრობლემის „*ენობრივ ბარიერად*“ მონათვლა სახელმწიფოს მხრიდან თვალის დახუჭვის მცდელობაა. რეალური გამოწვევა კი ისაა, რომ სკოლა სტუდენტს იმ აკადემიურ უნარებს (ტექსტის გააზრება, კრიტიკული აზროვნება) ვერ აძლევს, რაც უმაღლეს განათლებას სჭირდება. მისი

განმარტებით, სტუდენტმა შეიძლება, ისწავლოს საკომუნიკაციო ქართული, მაგრამ ვერ დაძლიოს აკადემიური მასალა შინაარსობრივი მოუძნადებლობის გამო.

ამ წარუმატებლობის ერთ-ერთ მთავარ მიზეზად მასწავლებელთა დაბალი კვალიფიკაცია სახელდება. კერძო უნივერსიტეტის პროგრამის ხელმძღვანელი იხსენებს, რომ მასწავლებელთა საგამოცდო რეფორმის დროს რეგიონებში ის პედაგოგებიც კი დარჩნენ სკოლებში, რომლებმაც გამოცდები ვერ ჩააბარეს, რადგან მათი „ალტერნატივა არ არსებობდა“. ამას ემატება სასწავლო მასალების პრობლემაც. ერთი ლექტორი აღნიშნავს, რომ სტუდენტები სწავლობენ წიგნებით, რომლებზეც გამოსახულია „დროშა სომხეთის ან აზერბაიჯანის“. ამასთან, ქართული ისტორიის სახელმძღვანელოები მათ საერთოდ არ მოიხსენიებს, რის გამოც ეს სტუდენტები საქართველოს ისტორიაში „საკუთარ როლს ვერ ხედავენ“. პრობლემა კიდევ უფრო კომპლექსურია, რადგან სტუდენტებს ხშირად არა მხოლოდ ქართული, არამედ მშობლიური გამართული ენაც არ უსწავლიათ. ერთ-ერთი რესპონდენტის აღნიშვნით, მათ „საკუთარ მშობლიურ ენაზეც კი არ აქვთ ხოლმე წიგნები“, საუბრობენ ადგილობრივ დიალექტზე და ყოფილა შემთხვევები, როცა საკუთარი ანბანი მხოლოდ მეცხრე კლასში უსწავლიათ. გარდა ამისა, ერთ-ერთი არასამთავრობო ორგანიზაციის მოსაზრებით, სკოლებში არსებულ პრობლემებს ამწვავებს ის ფაქტიც, რომ ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლების რეგიონებში სკოლა ფაქტობრივად ერთადერთი სივრცეა, სადაც მოსწავლეს ქართული ენის მოსმენა შეუძლია. ექსპერტისა და ლექტორების თქმით, როგორც ეს რამდენიმე სტუდენტმაც აღნიშნა, სოციალური სივრცეები და ადგილობრივი გარემო არ არის ქართულენოვანი, შესაბამისად, მოსწავლე სკოლის კედლებს მიღმა ვერ ახდენს ენის პრაქტიკულ გამოყენებას. ეს განსხვავდება თბილისის ან რუსთავის რეალობისგან, სადაც სოციალური გარემო თავად უწყობს ხელს ენის ათვისებას, რეგიონში კი მთელი დატვირთვა მხოლოდ სკოლაზე მოდის, რომელიც ამ ფუნქციას ვერ ასრულებს.

ფორმალური განათლების ხარვეზების ფონზე, არასამთავრობო (მედია) ორგანიზაციის წარმომადგენელი ხაზს უსვამს არაფორმალური მეთოდების ეფექტიანობას. მისი თქმით, ზოგიერთ სომხურენოვან სკოლაში დაინერგა პრაქტიკა, როდესაც გაკვეთილების შემდეგ მოსწავლეები ერთი საათით რჩებიან, ქართულ მულტფილმებს ან ფილმებს უყურებენ და მართავენ დისკუსიას. მისი შეფასებით, ეს მეთოდი ბევრად უფრო ეფექტური აღმოჩნდა კომუნიკაციის უნარების განვითარებისთვის, ვიდრე სტანდარტული გაკვეთილები, თუმცა მსგავსი ინიციატივები ჯერ კიდევ არ არის საყოველთაო.

ქართული ენის შესწავლის დემოტივაცია: სოციალურ-პოლიტიკური მიზეზები

სასკოლო დონეზე ენის შესწავლის მოტივაციის ნაკლებობას ღრმა სოციალურ-პოლიტიკური მიზეზებიც აქვს. როგორც ექსპერტი განმარტავს, რეგიონებში, სადაც დასაქმების ბაზარი შეზღუდულია, ახალგაზრდები ხედავენ, რომ საჯარო სამსახურში დასაქმება ხშირად არა - კომპეტენციასა და სახელმწიფო ენის ცოდნაზე, არამედ ნათესაურ კავშირებსა და „კლანურ მმართველობაზე“ დამოკიდებული. როდესაც კვალიფიციურ კადრს ანაცვლებს „ვიღაცის

ნათესავი“; ეს განათლების მიღების დემოტივაციას იწვევს მთელ თემში, რადგან ახალგაზრდები რწმუნდებიან, რომ ენის ცოდნა სოციალური პირობების გაუმჯობესების გარანტი არ არის. გარდა ამისა, დასაქმების პრობლემა მხოლოდ რეგიონული საჯარო სამსახურებით არ შემოიფარგლება. ექსპერტის განმარტებით, მიუხედავად იმისა, რომ რეგიონებთან შედარებით, თბილისში ბიზნესი უფრო განვითარებულია, ეთნიკური უმცირესობების მიმდებლობა კერძო სექტორში დაბალია. ხშირ შემთხვევაში, დამსაქმებლები პირის გვარიდან გამომდინარე წინასწარ განწყობებს იქმნიან და თავს არიდებენ მათ აყვანას, რაც სტუდენტებში აჩენს განცდას, რომ ენის ცოდნისა და კვალიფიკაციის მიუხედავად, მათი კარიერული წინსვლა შეზღუდულია როგორც რეგიონში (ნეპოტიზმის გამო), ისე დედაქალაქში (სტერეოტიპების გამო).

დასაქმების ბაზარზე არსებულ ბარიერებს და სახელმწიფოს მხრიდან მზაობის ნაკლებობის განცდას ადასტურებს კონკრეტული შემთხვევებიც, როდესაც მაღალი კვალიფიკაცია კი არ არის წარმატების გარანტი. ერთ-ერთი უნივერსიტეტის პროგრამის ხელმძღვანელი განიხილავს წარჩინებული სტუდენტის მაგალითს, რომელმაც „1+4“ პროგრამის შემდეგ სრულყოფილად შეისწავლა ქართული და ინგლისური ენები, რამდენჯერმე იმყოფებოდა გაცვლითი პროგრამით ევროპაში და მაგისტრატურაც წარმატებით დაასრულა, თუმცა, მიუხედავად ამ აკადემიური მიღწევებისა, შესაბამისმა სახელმწიფო უწყებამ (შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატმა) ის სტაჟირებაზეც კი არ აიყვანა. მიუხედავად იმისა, თუ რა იყო უარის ობიექტური საფუძველი, რესპონდენტის შეფასებით, ეს გადაწყვეტილება აღიქმება, როგორც სახელმწიფოს მხრიდან ინტეგრირებული და კვალიფიციური კადრების დაკარგვა, რაც უარყოფითად აისახება სხვა სტუდენტების მოტივაციაზეც. ინფორმირებულობის ნაკლებობისა და სტერეოტიპების გარდა, დასაქმების პრობლემას ამწვავებს პროფესიული ორიენტაციის სისტემის არარსებობაც. სახელმწიფო უნივერსიტეტის პროგრამის ხელმძღვანელი აღნიშნავს, რომ რეგიონში არ ტარდება შრომის ბაზრის კვლევა, რის გამოც აბიტურიენტები პროფესიებს „ბრმად“ ირჩევენ. მაგალითად, ხშირია შემთხვევები, როდესაც ბაზარზე ჭარბი იურისტების რაოდენობის მიუხედავად, სტუდენტები მაინც იურიდიულზე აბარებენ, მაშინ როცა მოთხოვნა სხვა პროფესიაზეა. რესპონდენტის რეკომენდაციით, სახელმწიფომ უნდა ჩაატაროს რეგიონული კვლევა და შედეგები მიაწოდოს აბიტურიენტებს, რათა მათ სწორი და პერსპექტიული კარიერული არჩევანი გააკეთონ.

საბოლოო ჯამში, რესპონდენტები თანხმდებიან, რომ უნივერსიტეტებს უწევთ გაუმკლავდნენ იმ ღრმა სისტემურ ხარვეზებს, რომლებიც სკოლის დონეზე უნდა გვარდებოდეს.

“ „უნივერსიტეტი უკვე... შედეგებს ხედავს, უნივერსიტეტი არ არის ის, რაც ამ პრობლემებს უნდა აგვარებდეს... პირიქით, სკოლამ უნდა აგვაროს ეს ყველაფერი“ - სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექტორი

ენობრივი ბარიერის ხელშემწყობი, სხვა დამატებითი ფაქტორები

რაც შეეხება საუნივერსიტეტო გარემოში ენობრივი ბარიერის ხელშემწყობ ფაქტორებს, როგორც სტუდენტების საუბრებიდან იკვეთება, უნივერსიტეტში ძირითადად თავიანთი ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელ ადამიანებთან ურთიერთობენ. მხოლოდ იშვიათ შემთხვევებში აღნიშნა რამდენიმე სტუდენტი რომ უფრო ქართულენოვან სტუდენტებთან ცდილობენ სოციალიზაციას, რომ ენის ცოდნის დონე გაიუმჯობესონ. გარდა ამისა, კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ ლექციებზე ჯგუფური სამუშაოების შესრულებისას ჯგუფების კომპოზიციის შედგენა უმეტესწილად თავად სტუდენტებზეა დამოკიდებული - ლექტორები თავისუფალ არჩევანს სთავაზობენ სტუდენტებს, თუ როგორ გადანაწილდებიან ჯგუფებში, რაც საბოლოო ჯამში ჯგუფების ეთნიკური მახასიათებლის მიხედვით დაყოფას იწვევს. შედეგად ქართულენოვან სტუდენტებთან კომუნიკაცია შესაძლებელზე ნაკლებია.

კვლევაში მონაწილე ლექტორებიც ადასტურებენ, რომ ეთნიკური უმცირესობის სტუდენტები, განსაკუთრებით ისინი, ვისაც ენობრივი ბარიერი აქვთ, *"კლასტერებად"* ყალიბდებიან - ლექციებზე ერთად სხედან, ჯგუფებში ერთად მუშაობენ და შესვენებებზეც ერთად არიან. ერთ-ერთი სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექტორის თქმით, ეს პრობლემა სტუდენტების რაოდენობის ზრდასთან ერთად უფრო გამწვავდა - როცა ჯგუფში მცირე რაოდენობის ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი სტუდენტი იყო, მათ *"სხვა გზა არ ჰქონდათ"* და იძულებულნი იყვნენ, ქართველებთან ინტეგრირებულიყვნენ. გარდა ამისა, ლექტორთა ნაწილი ფსიქოლოგიურ ბარიერებზეც მიუთითებენ - სტუდენტები ხშირად *"მორცხვები"* და *"ჩაკეტილები"* არიან, მათ ერიდებათ დახმარების ან დაზუსტების თხოვნა.

თავად ეთნიკურად ქართველი სტუდენტები, ეთნიკურ უმცირესობების წარმომადგენელ სტუდენტებზე საუბრისას, აღნიშნავენ, რომ უნივერსიტეტში მეგობრული და არადისკრიმინაციული გარემოა და სხვა ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენლებთან ურთიერთობაში რაიმე გამოწვევები არ აქვთ. თუმცა, უფრო ღრმა ჩაკითხვებისას იკვეთება, რომ ეს ურთიერთობა ხშირად ზედაპირულია და შემოიფარგლება მხოლოდ საუნივერსიტეტო სივრცით (ლექციები, შესვენებები). თითქმის ყველა რესპონდენტი, როგორც კერძო, ისე სახელმწიფო უნივერსიტეტებიდან, აღნიშნავს, რომ ეთნიკური უმცირესობების სტუდენტები *"ჯგუფებად არიან"*, *"სულ ერთად სხედან"* და *"თავიანთ ენაზე საუბრობენ"*. გარდა ამისა, ეთნიკურად ქართველი სტუდენტები ამბობენ, რომ უნივერსიტეტის გარეთ (მაგ. კაფეში, კინოში) ძირითადად ქართველები ცალკე დადიან. ზოგიერთი მათგანი ფიქრობს, რომ უმცირესობების წარმომადგენლებს თავად არ სურთ მათთან ინტეგრაცია - *"უფრო თავიანთი ენის წარმომადგენლებთან არიან კომუნიკაციაში, ვიდრე ჩვენთან... ალბათ, მათ წარმომადგენლებთან უფრო ურჩევნიათ კომუნიკაცია, ვიდრე ჩვენთან"* - ქალი, ეთნიკურად ქართველი, კერძო უნივერსიტეტის სტუდენტი

“

„ჩვენ ხშირად გავდივართ ხოლმე, მაგრამ ისე გამოდის, რომ მხოლოდ ქართველები... არ მყავს ესეთი ახლო მეგობარი [ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი], ვისაც მე ვთხოვ, რომ ერთად გავიდე“ - კაცი, ეთნიკურად ქართველი, სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი

კვლევაში მონაწილე ლექტორები ასევე საუბრობენ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი სტუდენტებისა და ქართველი სტუდენტების ურთიერთობაზე. მათი შეფასებით, ქართველი სტუდენტების დამოკიდებულება ძირითადად ნეიტრალურია - არ რიყავენ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს, მაგრამ არც ინტეგრაციას უწყობენ ხელს. თუმცა, ერთ-ერთი ლექტორი ამას სალექციო ჯგუფების ზომებით ხნის, მისი დაკვირვებით, მცირე ზომის ჯგუფებში (15-20 სტუდენტი) ინტეგრაცია ბევრად მარტივია, ვიდრე დიდი ზომის ჯგუფებში, რაც სახელმწიფო უნივერსიტეტებისთვისაა დამახასიათებელი. ლექტორის აღნიშვნით, კერძო უნივერსიტეტში ქართველი სტუდენტები უფრო მეტად ეხმარებიან, ეკონტაქტებიან და ერთად განიხილავენ კულტურულ ტრადიციებსაც კი.

მიუხედავად ზემოთ აღნიშნული ბარიერებისა, აზერბაიჯანული და სომხური წარმოშობის სტუდენტები აღნიშნავენ, რომ მათ სწავლის მიტოვების გადაწყვეტილებაზე არ უფიქრიათ.

“

„არა, ეგეთი ფიქრები არ არიან იმიტომ, რომ მე ვფიქრობ რომ საქართველოში ვცხოვრობ და აქ პირველი ყველაზე მნიშვნელოვანი არის ენის ვისწავლი იმიტომ, რომ ანუ საქართველოში ვარ, ეს რომ ეროვნულად სომეხი ვარ, ეს არაფერი არ ნიშნავს, საქართველოში ვარ და ეს არის ჩემი ქვეყანა. უნდა რომ მე ვიცოდე ჩემი ქვეყანის დედა ენა“ - კაცი, სომხური წარმოშობის, სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი

თუმცა სწავლის მიტოვების ნაცვლად, დაფიქსირდა შემთხვევა, როცა სტუდენტმა უნივერსიტეტი შეიცვალა. კერძო უნივერსიტეტის აზერბაიჯანული წარმოშობის სტუდენტმა აღნიშნა, რომ თავიდან ერთ-ერთ სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლობდა, მაგრამ რთული პროგრამისა და ლექტორების მხრიდან დისკრიმინაციული მიდგომის გამო იძულებული გახდა სწავლა კერძო უნივერსიტეტში გაეგრძელებინა. სახელმწიფო უნივერსიტეტის კიდევ ერთმა სტუდენტმა აღნიშნა, რომ უფიქრია სხვა უნივერსიტეტში გადასვლაზე - "უფრო ადვილ უნივერსიტეტში", რადგან უნივერსიტეტი, სადაც სწავლობს "ძალიან მკაცრია", რაშიც სამეცადინო დატვირთვას მოიაზრებს, თუმცა სწავლის შეწყვეტაზე არ უფიქრია. დანარჩენი მონაწილეები კი ამბობენ, რომ მათ უნივერსიტეტის შეცვლაზე არ უფიქრიათ, რადგან კმაყოფილი არიან იმ სწავლების ხარისხით რაც უნივერსიტეტში დახვდათ.

კვლევაში მონაწილე ექსპერტის მოსაზრებით, ზოგადად, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი სტუდენტების მიერ უნივერსიტეტის ან პროგრამის ცვლილება ხშირად არა

მხოლოდ აკადემიური სირთულით, არამედ „უსაფრთხო გარემოს“ ძიებითაა განპირობებული. ექსპერტის დაკვირვებით, როდესაც ცხადდება მობილობა, მაღალია მოთხოვნა ისეთ პროგრამებზე (მაგალითად, მულტილინგური განათლების პროგრამა), რომლებიც სპეციფიკურად ეთნიკური უმცირესობების საჭიროებებზეა მორგებული. ასეთ პროგრამებზე გარემო მათზე ორიენტირებულია, რაც სტუდენტებს უქმნის ფსიქოლოგიურ კომფორტს, განსხვავებით იმ სტანდარტული პროგრამებისგან, სადაც ისინი თავს გარიყულად გრძობენ.

“*„მაგალითად, მულტილინგური განათლების პროგრამაა თსუ-ში, რომელიც სწორედ მათზეა ორიენტირებული და მომავალ მასწავლებლებს ზრდის, უნდა ნახოთ, როცა მობილობას აცხადებს ეს პროგრამა, რამხელა მოთხოვნაა სხვა პროგრამებიდან გადმოსვლის თვალსაზრისით იმიტომ, რომ იქ ეგ გარემო არის მათზე ორიენტირებული, მათზე ორიენტირებული პროგრამაა და მთლიანობაში ხელს უწყობს მათ სწავლებას.“ - ექსპერტი, არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი*

კვლევაში მონაწილე სტუდენტებისგან ასევე განსხვავებულია უნივერსიტეტების აკადემიური პერსონალისა და ადმინისტრაციის წარმომადგენლების ხედვები სწავლის მიტოვების გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით. საუბრისას რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ პირველ კურსზე ბევრი ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი შეუნიშნავთ, მაგრამ მოგვიანებით უფრო მაღალი კურსისთვის განკუთვნილ საგნებზე ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი სტუდენტები თითქმის აღარ ხვდებიან. ლექტორების თქმით, ვინაიდან სტუდენტებს ხშირად არ აქვთ საკმარისი ენობრივი კომპეტენცია ბაკალავრიატის საფეხურის დასაძლევად, ხშირად დგებიან დილემის წინაშე: ჩაჭრან სტუდენტი (რაც დაფინანსების დაკარგვას და მათთვის სწავლის მიტოვებას ნიშნავს) თუ დაწერონ დადებითი ნიშანი პოზიტიური დისკრიმინაციის გზით. როგორც ერთ-ერთი რესპონდენტი აღნიშნავს, რომ სტუდენტების ნაწილის სწავლის დაფინანსება დამოკიდებულია “სოკარის” ან სხვა ტიპის გრანტებზე, აკადემიური მოსწრების გაუარესება კი ამ დაფინანსების შეწყვეტას იწვევს, რაც ზოგჯერ სწავლის მიტოვების წინაპირობა ხდება.

“*„პირველ კურსზე მყოფია უფრო ბევრი ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი და მერე მესამე კურსის საგნებზე რომ გადავდივარ ხოლმე, იქ აღარ ჩანან ეს ბავშვები და არ ვიცი, უბრალოდ შემთხვევითად ჩემს საგანზე აღარ მოხვდნენ თუ შემცირდა მათი რიცხვი ამ გასული ორი წლის მანძილზე, ამას ვერ გეტყვი, მაგრამ ეს დაკვირვება მართლა მაქვს, რომ პირველ კურსზე უფრო ბევრნი არიან და მერე მესამე დონის საგნებზე თითქმის აღარ მხვდებიან.“ - სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექტორი*

არასამთავრობო (მედია) ორგანიზაციის წარმომადგენლის ინფორმაციით, უფრო რადიკალური შემთხვევებიც ხდება, როდესაც სტუდენტი ენობრივი ბარიერის გამო გამოსავალს ქვეყნის დატოვებაში ხედავს. მაგალითად, მისი ინფორმაციით, არსებობს

პრაქტიკა, როდესაც სტუდენტები თბილისში სწავლას წყვეტენ და სასწავლებლად სომხეთში გადადიან, რადგან მშობლიურ ენაზე განათლების მიღება მათთვის უფრო მარტივია. რაც საბოლოო ჯამში მიუთითებს იმაზე, რომ “1+4” პროგრამის გავლის შემდეგაც კი, სტუდენტების ნაწილი აკადემიურ ადაპტაციას ვერ ახერხებს.

“*ჩვენი თანამშრომლები, რამდენიმე ადამიანი, ანუ ისწავლეს თბილისში და სულ დისკუსიები გვაქვს იმაზე, რომ ილიას უნივერსიტეტი ქართულის მომზადების პროგრამა უფრო კაია, ვიდრე ჯავახიშვილის უნივერსიტეტის და როდესაც უკვე ამ პროგრამის მერე ხდება სტუდენტი პირველ კურსზე, არათანაბარი დონე აქვთ ქართული ენის ცოდნის და როდესაც უკვე პირველ კურსზეა, სწავლებაში ძალიან უჭირთ... ზოგიერთ სტუდენტს არ შეუძლია, რომ გაუძლოს ენის არცოდნის პრობლემას და მიდიან უკვე სომხეთში, სასწავლებლად.*“ - ექსპერტი, არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი

კვლევაში მონაწილე აზერბაიჯანული და სომხური წარმოშობის ქართველი სტუდენტები ძირითადად აღნიშნავენ, რომ ენობრივი ბარიერის გარდა სხვა პრობლემები მათ სწავლაში ხელს არ უშლით, მხოლოდ იშვიათ შემთხვევებში ამახვილებენ ყურადღებას ისეთ პრობლემებზე როგორცაა მაგალითად, ტრანსპორტირება. აზერბაიჯანული წარმოშობის სტუდენტები დამატებით ბარიერად რეგიონებიდან უნივერსიტეტში სიარულს ასახელებენ და აღნიშნავენ, რომ გაუმართავი ტრანსპორტირების გამო, ხშირად ლექციაზე დაგვიანებით მისვლა ან ლექციიდან ადრე წამოსვლა უწევთ.

2.2 იდენტობა და სოციო-კულტურული ფაქტორები ინტეგრაციის პროცესში

როგორც ზემოთ აღწერილი მონაცემები აჩვენებს, აზერბაიჯანული და სომხური წარმოშობის სტუდენტების იდენტობისა და სოციალური ინტეგრაციის საკითხები მჭიდროდ უკავშირდება ენობრივ კომპეტენციას, თუმცა ასევე იკვეთება სხვა სოციალური და კულტურული ფაქტორების გავლენაც.

იდენტობის ტრანსფორმაცია და სოციალური სტიგმა

ზოგადად, კვლევაში მონაწილე ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი სტუდენტების ძირითადი ნაწილი აცხადებს, რომ თავს საქართველოს სრულფასოვან მოქალაქედ მიიჩნევს, ვინაიდან საქართველოში დაიბადნენ და გაიზარდნენ. მონაწილეები ქართული საზოგადოებისადმი მიკუთვნებულობის სხვა ხელშემწყობ ფაქტორსაც ასახელებენ: ქართველების ტოლერანტულ განწყობა და ასევე, (მათ ვინც ქართული ენა იციან) ქართული ენის ცოდნასა და ქართველი მეგობრების ყოლა;

“

„ჩვენ ყველანი საქართველოში დაბადებულნი ვართ, აქ ვცხოვრობთ... საქართველო ძალიან მიყვარს და სხვაგან ვერ ვიცხოვრებ“ - აზერბაიჯანული წარმოშობის კერძო უნივერსიტეტის სტუდენტი

„საქართველოში ვარ, ეს რომ ეროვნულად სომეხი ვარ, ეს არაფერი არ ნიშნავს, საქართველოში ვარ და ეს არის ჩემი ქვეყანა“ - სომხური წარმოშობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი

თუმცა, ნაწილი აღნიშნავს, რომ თავს „უცხოელად“ გრძნობს, ვინაიდან ქართულ კულტურას, ხალხს და ენას სათანადოდ არ იცნობს. ხოლო, ენობრივი ბარიერის გამო ქართველი მეგობრების გაჩენა უჭირთ. უფრო სიღრმისეულად ჩაძიების შედეგად ჩანს, რომ აზერბაიჯანული წარმოშობის სტუდენტების ნაწილს ემოციური ბმა თურქეთთან უფრო მეტად აქვს, ვიდრე საქართველოსთან. მონაწილეები აღნიშნავენ, რომ ქართველებსა და აზერბაიჯანულ და თურქულ თემს შორის არსებობს ფუნდამენტური განსხვავება „აზროვნებაში“, რაც სათავეს განსხვავებული ოჯახური ტრადიციებიდან, აღზრდის მეთოდებიდან და რელიგიური ფაქტორებიდან იღებს.

“

„ქართველები, მე როგორც ვფიქრობ, სხვანაირები არიან. თურქები და აზერბაიჯანელები უფრო სხვანაირები არიან. თუნდაც ცხოვრების სტილი იყოს, გარემო იყოს, რა ვიცი, ყველაფერი. ქართველები უფრო სხვანაირი აზროვნების არიან, მუსულმანები, ანუ თურქები, აზერბაიჯანელები უფრო სხვანაირი აზროვნების არიან. ალბათ, ეს უფრო იწვევს მაგას.“ - ქალი, აზერბაიჯანული წარმოშობის, სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი

„ჩემი ფესვები იქიდან მოდის [თურქეთიდან], ისტორიას რომ ვნახავდი, მამაჩემთან ვლაპარაკობდი და ჩემი ფესვები იქიდან მოდის და რაც აქ არ უნდა ვცხოვრობდე, როცა ოჯახური წარმომავლობა იქიდან მოდის, რაღაცა ანუ იქითკენ ვარ. ქართველებიც მომწონს, საქართველოც მომწონს ძალიან, ძალიან, მარა რაღაცა თურქეთისკენაც ვარ“ - ქალი, აზერბაიჯანული წარმოშობის, სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი

„მე ფეხბურთს ისე, არც ვუყურებ... [თუმცა] მეც ალბათ თურქეთის მხარეს ვიქნებოდი... მაგრამ არ მოვინდომებდი, რომ თურქეთმა მოიგოს და საქართველომ - არა.“ - ქალი, აზერბაიჯანული წარმოშობის, კერძო უნივერსიტეტის სტუდენტი

გარდა ამისა, კვლევაში მონაწილე ერთ-ერთი არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლის შეფასებით, ქართველებსა და ეთნიკურ უმცირესობებს შორის გაუცხოების მიზეზი საზოგადოებაში არსებული ღირებულებითი კრიზისია. მისი შეფასებით, ქართულ რეალობაში კვლავ დომინირებს „ეთნიკური პატრიოტიზმი“, სადაც სრულფასოვან მოქალაქედ აღიქმება მხოლოდ ის, ვინც ეთნიკურად ქართველი და მართლმადიდებელია. სანამ

საზოგადოება არ გადავა „სამოქალაქო პატრიოტიზმის მოდელზე“, სადაც მთავარი გამაერთიანებელი მოქალაქეობაა და არა - ეთნიკური მიკუთვნებულობა, ეთნიკური უმცირესობები მუდმივად „უსაფრთხოების რისკად“ ან მეზობელი სახელმწიფოს ნაწილად იქნებიან განხილული, რაც მათ ინტეგრაციას ხელს უშლის. ასევე, ერთ-ერთი არასამთავრობო (მედია) ორგანიზაციის წარმომადგენელი აღნიშნავს, რომ ენობრივი ბარიერის გარდა, სოციალიზაციას ხელს საერთო კულტურული კონტექსტის არარსებობაც უშლის. მედია ორგანიზაციის ხელმძღვანელის დაკვირვებით, რეგიონებში მოსახლეობა ქართულ ტელევიზიებს ძირითადად არ უყურებს, შესაბამისად, ახალგაზრდები ქართულ შოუ-ბიზნესს ან კინემატოგრაფიას არ იცნობენ. ეს კი „კულტურულ ვაკუუმს“ ქმნის, რის გამოც უნივერსიტეტში რეგიონებიდან ჩამოსულ ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელ სტუდენტებს ქართველ თანატოლებთან საერთო სასაუბრო თემების გამონახვა უჭირთ.

კიდევ ერთი მიზეზი, რაც რეგიონებიდან სასწავლებლად ჩამოსულ აზერბაიჯანული და სომხური წარმომშობის ახალგაზრდებს შორის გაუცხოებას იწვევს მათდამი დისკრიმინაციული მიდგომებია. მართალია, კვლევაში მონაწილე ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი სტუდენტების ძირითადი ნაწილი აღნიშნავს, რომ უნივერსიტეტშიც და მის გარეთაც ძირითადად არადისკრიმინაციული გარემოა, მაგრამ რამდენიმე სტუდენტს ან მათ მეგობარს მაინც გამოუცდია დისკრიმინაცია არამხოლოდ მოქალაქეებისგან, არამედ ლექტორებისგანაც კი. აღსანიშნავია, რომ ფოკუს ჯგუფებში გაზიარებული ყველა დისკრიმინაციული შემთხვევა სახელმწიფო უნივერსიტეტებში მომხდარა, რაც შესაძლოა ასევე უკავშირდებოდეს იმ მოცემულობას, რომ სახელმწიფო უნივერსიტეტებში უფრო მეტი ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი სწავლობს, ვიდრე - კერძოში. დისკრიმინაციული გამოცდილებების ნაწილი ეთნიკურ ან გენდერულ ნიშნებს უკავშირდება, ხოლო ნაწილი – ლექტორების გაუცხოებებელ, არაეთიკურ ქცევებს. რამდენიმე მონაწილემ აღწერა შემთხვევები, სადაც ლექტორებმა პირდაპირ განაცხადეს, რომ არ სურდათ აზერბაიჯანული წარმომშობის სტუდენტების ჯგუფში ყოფნა, ან სომხური წარმომშობის სტუდენტისთვის უთქვამთ, რომ მათ სწავლას „აზრი არ ჰქონდა“. ერთ-ერთმა სტუდენტმა კი გაიხსენა სახელმწიფო უნივერსიტეტში (სადაც ადრე სწავლობდა) მომხდარი ფაქტი, როდესაც ლექტორმა აუდიტორიის წინაშე განაცხადა: „*მე აზერბაიჯანელებთან მუშაობა არ მინდა*“. მსგავსი გამოცდილება გაიხსენა სახელმწიფო უნივერსიტეტის სომხური წარმომშობის სტუდენტმაც, რომლის დას და სხვა არაქართველ სტუდენტებს ლექტორმა მიმართა: „*რას აკეთებთ აქ?! რატომ სწავლობთ აქ?! მაინც ვერაფერს ვერ მიაღწევთ*“.

ლექტორების მხრიდან უნივერსიტეტებში დისკრიმინაციულ შემთხვევებს, კვლევაში მონაწილე ეთნიკურად ქართველი სტუდენტებიც ადასტურებენ. ერთ-ერთი რესპონდენტი აღნიშნავს, გენდერული დისკრიმინაციის შემთხვევას, როდესაც გაცვლით პროგრამაში უპირატესობა მამრობითი სქესის სტუდენტებს მიენიჭათ, რადგან აზერბაიჯანული წარმომშობის გოგოების მიმართ არსებობდა დამოკიდებულება - „*ესენი მაინც გათხოვდებიან და ტყუილად დააცდენს ადგილს*“. გარდა ამისა, დაფიქსირდა, არაეთიკური ქცევაც, როცა

ლექტორმა მადლობა გადაუხადა ქართველ სტუდენტს სამუშაო ჯგუფში აზერბაიჯანული წარმომობის მეწყვილის არჩევისთვის.

ლექტორების მხრიდან მსგავსი არაეთიკური დამოკიდებულება, ექსპერტის დაკვირვებით, აკადემიური სფეროს მზაობის დაბალი ხარისხით აიხსნება. ექსპერტის თქმით, საქართველოში ისეთი პროფესურა, რომელსაც საერთაშორისო გამოცდილება და მაღალი კულტურული სენსიტიურობა აქვს, აკადემიური პერსონალის მხოლოდ მცირე ნაწილს შეადგენს. უმრავლესობას კი მულტიკულტურულ აუდიტორიასთან მუშაობის უნარები არ გააჩნია, რაც ხშირად ისეთ რადიკალურ ფორმებში ვლინდება, როგორცაა, მაგალითად, აუდიტორიაში რელიგიური უმცირესობების შეურაცხყოფა.

რაც შეეხება ეთნიკური ნიშნით დისკრიმინაციისა და სტიგმატიზაციის ისეთ გამოცდილებას, რომელიც უნივერსიტეტის გარეთ, ყოველდღიურ ცხოვრებაში შესაძლოა ვლინდებოდეს, მაგალითად, სკოლებში, სამუშაო სივრცეებში, საზოგადოებრივ ტრანსპორტში, აზერბაიჯანული და სომხური წარმომობის რესპონდენტთა გამოცდილებაში დომინირებს ენობრივი ნიშნით სტიგმატიზაცია - ისინი საუბრობენ ქართული ენის არასრულფასოვანი ფლობის გამო მიღებული კრიტიკის და მშობლიურ ენაზე კომუნიკაციისას გამოთქმული საყვედურების შედეგად არსებულ ფსიქოლოგიურ წნეხზე. აღნიშნულს ემატება ვერბალური აგრესია, ქვეყნის დატოვებისკენ მოწოდებები, ეთნიკური კუთვნილების საფუძველზე დასაქმების უფლების კითხვის ნიშნის ქვეშ დაყენება, რაც ჯამში, რესპონდენტებში გაუცხოებისა და არასასურველობის განცდას იწვევს. ფოკუს ჯგუფის ერთ-ერთი აზერბაიჯანული წარმომობის სტუდენტი აღნიშნავს, რომ აზერბაიჯანელებს ქართველები არ უყვართ, რადგან ქართველები მათ ამცირებენ.

“... „თათარი“ არისო ეს და რაღაც, და მერე მამაჩემი რომ მივიდა სკოლაში, უკვე უთხრა, რომ არ შეიძლებაო ასე, ანუ მშობლებს დაელაპარაკა და რაღაც და მაგის მერე არაფერი არ უთქვამთ. არავის.“ - ქალი, აზერბაიჯანული წარმომობის, კერძო უნივერსიტეტის სტუდენტი

„ავტობუსში ვლაპარაკობდით სომხურად და თქვა რატომ, საქართველოში ვცხოვრობთ და უნდა ქართულად ვილაპარაკოთ.“ - კაცი, სომხური წარმომობის, სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი

აღსანიშნავია, რომ ფოკუს ჯგუფების ეთნიკურად ქართველმა მონაწილეებმა ვერ შეძლეს იმ სტერეოტიპების დასახელება, რაც შესაძლოა, გავრცელებული იყოს ქართულ საზოგადოებაში; მხოლოდ ორმა მონაწილემ მოახერხა ასეთი სტერეოტიპის გახსენება.

სოციალიზაციის დინამიკა და სეგრეგაცია

როგორც წინა თავში აღვნიშნეთ, სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექტორების დაკვირვებით, სტუდენტები აუდიტორიებში ხშირად ეთნიკური ნიშნით სხდებიან და ნაკლებად შედიან კომუნიკაციაში ჯგუფის დანარჩენ წევრებთან, რაც მათ საზოგადოებისგან დისტანცირებაზე და სოციალიზაციასთან დაკავშირებულ პრობლემებზე მიუთითებს. ერთ-ერთი ლექტორის დაკვირვებით, ეთნიკური უმცირესობის სტუდენტების ერთმანეთთან დაჯგუფებას ხელს უწყობს როგორც წინასწარი ნაცნობობა, ისე საცხოვრებელს ერთად ქირაობა. მისი შეფასებით, სტუდენტების ნაწილი უნივერსიტეტში ჩაბარებამდე იცნობს ერთმანეთს. გარდა ამისა, რაკი ერთი რეგიონიდან არიან, ახალ გარემოში ბუნებრივად „თავის მსგავსს ეძებენ“, რომ ერთმანეთი დააკვალიანონ. დამატებით, ლექტორის ინფორმაციით, მშობლები ხშირად უბიძგებენ სტუდენტებს, ბინა ერთად იქირაონ, რაც კიდევ უფრო აძლიერებს მათ ერთმანეთთან ახლო ყოფნას - „ერთად მოდიან, ერთად მიდიან“. დადებით გამონაკლისებს წარმოადგენენ თბილისში გაზრდილი სომხური და აზერბაიჯანული წარმოშობის სტუდენტები. კვლევაში მონაწილე ლექტორები და ქართველი სტუდენტები ხაზს უსვამენ, რომ თბილისში გაზრდილი ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებმა ქართული ენა კარგად იციან და სრულად ინტეგრირებულნი არიან; მაგალითად, კერძო უნივერსიტეტის ლექტორი იხსენებს სომეხ სტუდენტს, რომელიც „სულ ქართველ სტუდენტებთან ერთად დადიოდა“ და სრულად სოციალიზებული იყო.

ინტერვიუებიდან ჩანს, რომ აზერბაიჯანული თემის შემთხვევაში, სოციალიზაციას გენდერული შეზღუდვებიც ამწვავებს. სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექტორი ხაზს უსვამს, რომ აზერბაიჯანული და სომხური წარმოშობის გოგოების კონტროლის ხარისხი განსხვავდება რეგიონების მიხედვით. მისი თქმით, მარნეულიდან და ბოლნისიდან ჩამოსულ სტუდენტებს ამ მხრივ ნაკლები პრობლემა აქვთ, მაგრამ ნინოწმინდიდან და დმანისიდან ჩამოსული სომხური წარმოშობის გოგოები „საერთოდ არ ეკონტაქტებიან არავის“, რადგან „მკაცრი სტერეოტიპებით არიან გაზრდილები“. ამავე მოსაზრებას იზიარებს, კერძო უნივერსიტეტის ლექტორი, რომელიც ამბობს, რომ ეთნიკური უმცირესობების სტუდენტები ხშირად „უფრო ხიან დანარჩენებთან კონტაქტში შესვლას“ და სხვებთან ურთიერთობისას „იზოლაციურ და ფრთხილ სტრატეგიას“ იჩენენ. მისი განმარტებით, ეს სიფრთხილე სავარაუდოდ გამომდინარეობს იმ გარემოდან, სადაც ისინი გაიზარდნენ - რეგიონებში ისინი ცხოვრობდნენ ჰომოგენურ გარემოში, სადაც მათი თანატოლებიც და უფროსებიც მხოლოდ მათივე ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლები იყვნენ. შესაბამისად, თბილისში ჩამოსვლისას მათ უჭირთ უცხო გარემოსთან გახსნა, რადგან „მთელი ცხოვრება იზრდებოდნენ... კონკრეტულ რეგიონში“, სადაც მრავალფეროვნებასთან შეხება არ ჰქონდათ.

სოციალიზაციის დინამიკა განსაკუთრებით თვალსაჩინოა ლექციებს შორის შესვენებებზე. კერძო უნივერსიტეტის ლექტორის დაკვირვებით, ეთნიკურად ქართველი და არაქართველი სტუდენტების ქცევითი მოდელები ამ დროს რადიკალურად განსხვავდება. თუ ქართველი სტუდენტები შესვენებებს აქტიური სოციალიზაციისთვის იყენებენ - „უფრო მეტად აქტიურად, რაღაც ჩავლენ, ყავას დალევენ, მოწვევენ, რაღაცას გააკეთებენ“, ეთნიკური

უმცირესობების წარმომადგენლები, უმეტესწილად, პასიურ პოზიციას ინარჩუნებენ, შესვენების დროს აუდიტორიუმში ატარებენ - „ესენი უფრო სხედან ხოლმე შესვენებაზე, შიგნით, ელოდებიან ხოლმე“.

გარდა ამისა, ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი სტუდენტების ძირითადი ნაწილი თავადაც ადასტურებს, რომ ლექციებს შემდეგ, მაგალითად, უნივერსიტეტის ეზოში სოციალიზაცია, ძირითადად ისევ იმავე ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლებთან მიმდინარეობს. თუმცა როგორც თავად ხსნიან, ეს არა ეთნიკურობას არამედ ნაცნობობას უკავშირდება.

“ „ესე შემოდლია ვთქვა, რომ ძირითადად კი ცალ-ცალკე არიან, მარა უფრო დამოკიდებულია არა ეროვნებაზე, ანუ ნაცნობობაზე რა, ანუ ვინც, ვინებიც არიან ნაცნობები, კი ერთად არიან, მარა რა ვიცი, ეროვნება არ არის, ესე ვთქვათ, შუაში.“ - კაცი, სომხური წარმოშობის, სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი

ინტეგრაციის პროცესებზე საუბრისას, ჩანს, რომ რესპონდენტთა ნაწილი სამოქალაქო ინტეგრაციის პროცესებშიც არის ჩართული. აზერბაიჯანული და სომხური წარმოშობის სტუდენტები ძირითადად აღნიშნავენ, რომ დაინტერესებული არიან ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებით და ცდილობენ ინფორმირებულნი იყვნენ. თუმცა ამის საპირისპიროდ, ეთნიკურად ქართველი სტუდენტების ძირითადი ნაწილი ფიქრობს, რომ მათ გარშემო მყოფი ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები სამოქალაქო ცხოვრებაში ჩართული არ არიან. მათი განცხადებით, არ ერთვებიან პოლიტიკასთან დაკავშირებულ საუბრებში. ზოგჯერ როგორც ჩანს, ეს შესაძლოა, ოჯახიდან წამოსულ შეზღუდვებსაც უკავშირდებოდეს, როგორც ერთ-ერთ შემთხვევაში, რესპონდენტი აღნიშნავს, რომ თავის კურსელს შეზღუდული ჰქონდა სამოქალაქო აქტივობაში ჩართვის უფლება მშობლის მხრიდან. იშვიათ შემთხვევებში ქართველი სტუდენტები აცხადებენ, რომ სომხური და აზერბაიჯანული წარმოშობის სტუდენტები ისევე ერთვებიან დისკუსიებსა და სამოქალაქო პროცესებში, როგორც ქართველები.

“ „ჩემს ირგვლივ რომელი აზერბაიჯანელებიც არიან და ვისაც ვიცნობ, უშუალო შეხება ვისთანაც მქონია იმაზე ვიტყვი, რომ ... მართლა მთელი გულით განიცდიდა ხოლმე ამ ყველაფერს [მიმდინარე მოვლენებს], მაგრამ აი, მეორე და ზოგადად უმეტესობაზე ვიტყვი, რომ საერთოდ - არა, არც ჩართულები არ იყვნენ, არც აინტერესებდათ... თვითონ არ უნდათ, რომ სრულფასოვანი ქართველები იყვნენ, მე ვიტყვოდი ამას, რომ აი თუნდაც თურქეთს [ფეხბურთის გუნდს] რომ გულშემატკივრობდა ის პიროვნება, ანუ ჩვენო ქართველები კი არ ვართო, ჩვენო თურქები ვართო, თვითონ თქვა ეს და თვითონ ფიქრობენ ასე, რომ ისინი აზერები არიან, თურქები არიან, თურქულიც ძალიან კარგად იციან, ხოდა პრობლემა ანუ საერთო ჯამში, ასე რომ ვთქვათ, მართლაც ის

კი არ არის, რომ დისკრიმინაციას გრძნობენ ქართველებისგან, თვითონაც არ უნდათ, რომ რეალურად ქართველები იყვნენ.“ - ქალი, ეთნიკურად ქართველი, სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი

2.3 ინსტიტუციური გარემო და მხარდაჭერის მექანიზმები: არსებული პრაქტიკა და აღქმული ეფექტიანობა

ზემოთ აღწერილი პრობლემების წინაშე მდგარი აზერბაიჯანული და სომხური წარმოშობის სტუდენტებისთვის მნიშვნელოვანია სათანადო ინსტიტუციური გარემოსა და მხარდაჭერი მექანიზმების არსებობა. თუმცა, როგორც კვლევის შედეგები აჩვენებს, მხარდაჭერის მექანიზმები სისტემურ დონეზე არ არსებობს და კონკრეტული პირების (უნივერსიტეტებში პროგრამის ხელმძღვანელების, ლექტორების) კეთილ ნებას უკავშირდება.

განათლების ხელმისაწვდომობის მექანიზმები: „1+4“ პროგრამის შეფასება

უნივერსიტეტებში პროგრამის ხელმძღვანელები და ლექტორები ინსტიტუციური გარემოსა და მხარდაჭერის მექანიზმების შეფასებისას, „1+4“ პროგრამას ცალსახად მნიშვნელოვან დადებით ნაბიჯად აფასებენ უმაღლეს განათლებაზე ხელმისაწვდომობის კუთხით. სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენელი („1+4“ პროგრამის თანადამფუძნებელი) აღნიშნავს, რომ ამ პროგრამის გარეშე ეთნიკური უმცირესობების სტუდენტთა რაოდენობა უნივერსიტეტებში კრიტიკულად დაბალი იქნებოდა. თუმცა, რესპონდენტები პროგრამის უარყოფით თანმდევ ეფექტზეც საუბრობენ. მათი აზრით, მოსამზადებელ კურსზე სტუდენტები ერთი წლის განმავლობაში იზოლირებულად, მხოლოდ ეთნიკური უმცირესობების გარემოში სწავლობენ. მათი თქმით, როდესაც სტუდენტები პირველ კურსზე გადადიან და ქართულენოვან ნაკადებს უერთდებიან, ისინი განიცდიან „შოკს“ და „ცივ შხაპს“, რადგან ხვდებიან კონკურენტულ და ენობრივად რთულ გარემოში.



„ჩვენ მათ ვუქმნით სათბურს... და მერე უცებ ხვდებიან რეალობაში, სადაც ლექტორი სწრაფად საუბრობს და არავინ ელოდება მათ“ - სახელმწიფო უნივერსიტეტის პროგრამის ხელმძღვანელი

ერთ-ერთი არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი, აღნიშნავს, რომ პროგრამის მთავარი ნაკლი მისი სიხისტეა, ვინაიდან ამ პროგრამაზე მოხვედრის შემდეგ, 60 კრედიტის მოგროვება სავალდებულოა, მიუხედავად სტუდენტის ქართულ ენაში საწყისი ცოდნისა. ექსპერტის რეკომენდაციით, სისტემა დიფერენცირებული უნდა იყოს: მისაღებ გამოცდაზე, სტუდენტის ჩაჭრის გარეშე, უნდა დადგინდეს ენის ცოდნის დონე და ამის მიხედვით დაიგეგმოს ინდივიდუალური კურსები.

“ჩვენ გვინდოდა, რომ ენობრივი კომპეტენცია დადგენილიყო მისაღები გამოცდით, თუმცა მას გავლენა არ ჰქონოდა ჩარიცხვაზე. ნულოვანი კომპეტენციითაც ჩარიცხულიყო, თუმცა გვცოდნოდა, რომ ნულოვანი კომპეტენცია აქვს ობიექტური გამოცდის შედეგად და ... აქედან, ამ შედეგებიდან გამომდინარე დაგეგმილიყო უკვე პროგრამა.“ - არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი, ექსპერტი

გარდა ამისა, აზერბაიჯანული წარმოშობის სტუდენტების ჯგუფში ყურადღებას ქართული ენის სწავლების გადასახადზე ამახვილებენ. მათი ნაწილი იზიარებს მოსაზრებას, მოსამზადებელი კურსები უფასო უნდა იყოს, ვინაიდან ისინი სახელმწიფო ენას სწავლობენ.

“მე ახლა მოსამზადებელზე არ ვარ, მაგრამ იმას არ მომწონს, რომ მოსამზადებელი ფულიანია... ანუ ჩვენ ენას ვსწავლობთ, საქართველოში ვცხოვრობთ და ქართულ ენას ვსწავლობთ და მაგამი ფულს ვიხდით. ეს არ მომწონს მე.“ - ქალი, აზერბაიჯანული წარმოშობის, სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი

„1+4“ პროგრამის უარყოფით მხარეებზე საუბრისას, გამოვლინდა მისი არამიზნობრივად გამოყენების ტენდენცია. უნივერსიტეტის პროგრამის ხელმძღვანელის ინფორმაციით, თბილისში დაბადებული და გაზრდილი აზერბაიჯანული და სომხური წარმოშობის, ქართულენოვანი სკოლის მოსწავლეები სწავლის ბოლო წელს, მე-12 კლასში, განზრახ რეგიონულ სკოლებში გადადიან, რათა ფორმალურად მოიპოვონ პროგრამაში ჩართვის უფლება. ამ გზით ისინი თავს არიდებენ ეროვნულ გამოცდებს და სარგებლობენ ეთნიკური უმცირესობებისთვის განკუთვნილი შეღავათით, მიუხედავად იმისა, რომ მათი ენობრივი კომპეტენცია მაღალია და დამატებითი მომზადება არ ესაჭიროებათ. აღნიშნული პრაქტიკა კი სისტემურ ხარვეზზე მიუთითებს, რაც კიდევ უფრო ზრდის კონკურენციასა და დატვირთვას ამ პროგრამაზე.

სტუდენტთა საჭიროებები და მხარდამჭერი მექანიზმები

შედეგების ანალიზი ასევე აჩვენებს, განსხვავებას სახელმწიფო და კერძო უნივერსიტეტებს შორის. კერძო უნივერსიტეტებისგან განსხვავებით, სადაც მცირე ზომის სალექციო ჯგუფებია და შესაბამისად სტუდენტის ჩართვა ადვილია, სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებლებში “მასობრიობის” პრობლემაა. აქ სტუდენტების აკადემიური თუ სოციალური ინტეგრაცია დამოკიდებულია არა ინსტიტუციურ ზრუნვაზე, არამედ მხოლოდ მათ პირად ბრძოლისუნარიანობაზე. “მასობრიობის” პრობლემის და შესაბამისად, პროგრამის აკადემიური ხარისხის გაუარესების ერთ-ერთ ფუნდამენტურ მიზეზად უნივერსიტეტების ფინანსური ინტერესები სახელდება. ერთ-ერთი სახელმწიფო უნივერსიტეტის პროგრამის ხელმძღვანელის განმარტებით, მომართვიანობის მკვეთრი ზრდის პირობებში (რაც წლიურად 2000-ზე მეტ აბიტურიენტს აღწევს ამავე უნივერსიტეტში), უნივერსიტეტები ცდილობენ ჯგუფებში სტუდენტების მაქსიმალური რაოდენობის, 40-მდე სტუდენტის განთავსებას,

ვინაიდან დაფინანსება პირდაპირ სტუდენტურ ვაუჩერებზეა მიბმული; ხოლო, დიდი ჯგუფების შექმნა ხარჯებს ამცირებს და შემოსავალს ზრდის. რესპონდენტის შეფასებით, მსგავს გადატვირთულ ჯგუფებში ენის შესწავლა ხშირად მხოლოდ ფორმალობად იქცევა და ენობრივი კომპეტენციის რეალურ გაუმჯობესებას ვერ უზრუნველყოფს, რაც შემდგომში ბაკალავრიატის საფეხურზე აკადემიურ ჩამორჩენას იწვევს.

როგორც ლექტორების ნარატივი აჩვენებს, ინსტიტუციური მხარდაჭერა თითქმის არ არსებობს, უნივერსიტეტებს არ აქვთ შემუშავებული სპეციალური მეთოდოლოგია ან ლექტორებისთვის სავალდებულო ტრენინგები იმის შესახებ, თუ როგორ უნდა იმუშაონ მულტიკულტურულ ჯგუფებთან და ენობრივი ბარიერის მქონე სტუდენტებთან. როგორც მათი საუბრებიდან გამოიკვეთა, ინტეგრაციის ხარისხი დამოკიდებულია კონკრეტული აკადემიური პერსონალის კეთილ ნებასა და ენთუზიაზმზე, რამდენად მოახერხებენ ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციის პროცესის ხელშეწყობას. ზოგიერთი ლექტორი იყენებს ინდივიდუალურ სტრატეგიებს: *„ხელოვნურად ვსვამ ქართველთან ერთად“*, *„ვადლებ დავალებას, რომ ჯგუფში აუცილებლად იყოს ერთი ეთნიკური უმცირესობა“*. მეორე ნაწილი კი ამბობს, რომ სტუდენტთა დიდი ნაკადების პირობებში, განსაკუთრებით სახელმწიფო უნივერსიტეტში, ვერ ახერხებენ ინდივიდუალურ მიდგომებს - *„როცა აუდიტორიაში 50 სტუდენტია, ფიზიკურად ვერ ვაკონტროლებ, ვინ ვისთან დაჯდა“*.

ასევე, აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტების მიერ შეთავაზებულ სერვისებს კვლევაში მონაწილე სტუდენტთა დიდი ნაწილი არ იცნობს; ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელ სტუდენტებს არ აქვთ ინფორმაცია უნივერსიტეტში არსებულ შესაძლებლობებსა და აქტივობებზე (კლუბები, ექსკურსიები და ა.შ.). მხოლოდ რამდენიმე ახერხაიჯანული და სომხური წარმოშობის სტუდენტი აღნიშნავს, რომ ინფორმაცია მსგავს აქტივობებზე აქვთ, თუმცა არცერთი მათგანი არაა ჩართული რომელიმე აქტივობაში სხვადასხვა მიზეზის გამო: ნაკლები ინტერესი, დამატებითი გადაადგილების (რეგიონიდან ჩამოსვლის) პრობლემა, თავისუფალი დროის არქონა. გამონაკლისს ექსკურსიები წარმოადგენს, სადაც მხოლოდ ორი სომხური წარმოშობის სტუდენტი ადასტურებს, რომ ყოფილა ექსკურსიებზე, რომელთა მიზანიც სტუდენტების სოციალიზაცია იყო.

მხარდაჭერ მექანიზმებზე საუბრისას, სტუდენტთა ნაწილი სტუდენტური საცხოვრებლის არსებობის ან ტრანსპორტირების უზრუნველყოფის აუცილებლობას უსვამენ ხაზს, ვინაიდან მათი ნაწილისთვის განსაკუთრებულ სირთულეს რეგიონიდან უნივერსიტეტში სიარული წარმოადგენს, რაც ასევე სწავლაში ხელშემშლელი ფაქტორია. ასევე, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი სტუდენტების მცირე ნაწილი უნივერსიტეტის მიერ Facebook ჯგუფების შექმნას, სტუდენტების გაცნობას, ასევე ბინებისა და საცხოვრებლის შესახებ ინფორმაციის გაზიარებას სასურველ მხარდაჭერად მიიჩნევენ.

სტუდენტთა ინფორმირებულობის პრობლემასთან დაკავშირებულ ნარატივს აზიარებს არასამთავრობო (მედია) ორგანიზაციის წარმომადგენელიც, რომელიც მისი ახსნით,

არამხოლოდ უმაღლეს განათლებასთან დაკავშირებული სერვისების მხრივ, არამედ სხვა სახელმწიფო სერვისებთან მიმართებითაც დგას. რესპონდენტის თქმით, ინფორმაცია იმის შესახებ, რომ დასაქმების სააგენტოს აქვს ანაზღაურებადი სტაჟირების და პროფესიული გადამზადების პროგრამები, არც სტუდენტებშია გავრცელებული და ზოგჯერ არც თავად ორგანიზაციებში; შესაბამისად კომუნიკაციის არარსებობის გამო, არსებული სახელმწიფო რესურსიც კი აუთვისებელი რჩება. მიუხედავად სტაჟირების პროგრამების მიმართ ზოგადი სკეპტიციზმისა, რესპონდენტი პოზიტიურ გამოწვევად იუსტიციის სახლის პროგრამას ასახელებს. მისი ინფორმაციით, ეს არის ერთ-ერთი იშვიათი შემთხვევა, როდესაც სტაჟირების გავლის შემდეგ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ახალგაზრდები საჯარო სტრუქტურაში რეალურად დასაქმდნენ, განსხვავებით სხვა უწყებებისგან, სადაც სტაჟირება ხშირად დასაქმებით არ სრულდება.

საბოლოო ჯამში კვლევაში მონაწილეები თანხმდებიან, რომ საჭიროა სისტემური მიდგომები, პროგრამების გაუმჯობესება ან დანერგვა, რომელიც ხელს შეუწყობს ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ახალგაზრდების სოციალიზაციას.

სომხური წარმოშობის სტუდენტების ნაწილი ქართული ენის პრაქტიკასთან დაკავშირებულ მხარდაჭერას, მათ შორის, ქართული ენის სწავლების მოსამზადებელი კურსის დასრულების შემდეგ გაგრძელებასა და ასევე, თანატოლთა მენტორინგის პროგრამის აღდგენას/შემოტანის საჭიროებაზე მიუთითებს - პრაქტიკა, რომელიც წარმატებული კურსდამთავრებულისა და მისი გამოცდილებების გაცნობის საშუალებას იძლეოდა.



„კარგი იქნება, რომ ჯგუფები შეიქმნას, სადაც ერთმანეთს დაეხმარებიან ჩამოსული სტუდენტები და დააკვალიანებენ, ანუ პირველკურსელებს, მეოთხეკურსელები ან მესამეკურსელები და დაეხმარებიან, გზამკვლევები იქნებიან“ - ქალი, სომხური წარმოშობის, კერძო უნივერსიტეტის სტუდენტი

ექსპერტის ახსნით, სტუდენტების ეს მოთხოვნა ეხმიანება წარსულში არსებულ პრაქტიკას. წლების წინ დონორების მხარდაჭერით ფუნქციონირებდა „ტუტორიუმის ინსტიტუტი“, სადაც ქართველი და უფროსკურსელი სტუდენტები ეხმარებოდნენ ახალბედებს. აღნიშნული პროგრამა შეწყდა დაფინანსების დასრულების გამო. რესპონდენტი აღნიშნავს, რომ ხშირად დონორული და არასამთავრობო რესურსები იხარჯება არაეფექტურ, პრესტიჟულ ღონისძიებებში (კონფერენციები ძვირადღირებულ სასტუმროებში), ნაცვლად ისეთი მდგრადი სერვისების დაფინანსებისა, როგორცაა საუნივერსიტეტო აკადემიური მხარდაჭერის ცენტრები.

პოზიტიური პრაქტიკები და რეკომენდაციები

საუნივერსიტეტო დონეზე არსებული ზოგადი გამოწვევების ფონზე, გამორჩეულ პოზიტიურ გამონაკლისს წარმოადგენს ერთ-ერთი სახელმწიფო უნივერსიტეტის კონკრეტული (საერთაშორისო ურთიერთობების) მიმართულება, სადაც ინტეგრაციის ხელშესაწყობად რამდენიმე ქმედითი, შიდა საუნივერსიტეტო მექანიზმია დანერგილი. პროგრამის ფარგლებში, წარმატებული კურსდამთავრებულების ინიციატივითა და საუნივერსიტეტო გრანტის მხარდაჭერით, ფუნქციონირებს სტუდენტური მხარდაჭერის კლუბი, რომლის ფარგლებშიც ქართველი მოხალისეები ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ სტუდენტებს აკადემიურ მომზადებასა და დავალებების შესრულებაში ეხმარებიან. აღსანიშნავია, რომ ეს პროცესი ინსტიტუციურად არის წახალისებული: ქართველ სტუდენტებს აღნიშნული მოხალისეობა სახელმწიფო სტიპენდიის რეიტინგში დამატებით აქტივობად ეთვლებათ, რაც ზრდის მათ მოტივაციას, ჩაერთონ ინტეგრაციის პროცესში. გარდა ამისა, პროგრამა იყენებს პროაქტიულ მიდგომას სოციალიზაციისთვის. ვინაიდან „1+4“ პროგრამის სტუდენტები სასწავლო პროცესს ხშირად დაგვიანებით უერთდებიან, ლექტორები წინასწარ გადიან მოსამზადებელ, საინფორმაციო ხასიათის შეხვედრებს ქართველ სტუდენტებთან, რათა მათ ხელი შეუწყონ ახალი ნაკადის ადაპტაციაში. უშუალოდ სასწავლო პროცესში კი მოქმედებს ჯგუფების „ხელოვნური შერევის“ სტრატეგია, როდესაც სემინარებზე ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები ნაწილდებიან მცირე რაოდენობით (მაქსიმუმ ორი სტუდენტი ჯგუფში) ქართულენოვან ჯგუფებში, რათა ე.წ. „ეთნიკური კლასტერების“ შექმნა თავიდან იქნას აცილებული და სტუდენტები იძულებულნი იყვნენ, კომუნიკაცია ქართველ თანატოლებთან დაამყარონ.

“

„ეს არის სტუდენტური მხარდაჭერის კლუბი... უნივერსიტეტის დაფინანსებით. ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლებმა, რომელმაც დაამთავრეს წარმატებით და ქართველი მოხალისეები, ვისაც სურვილი აქვს, რომ კლასგარეშედ დავალებების მომზადებაში მიეხმაროს ან კონსულტაცია გაუწიოს, ჩართულები არიან და ეს სტიპენდიაში ეთვლებათ მერე დამატებით ქვდება.“ - სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექტორი, პროგრამის ხელმძღვანელი

მხარდამჭერი გარემოს შექმნა მნიშვნელოვანია არამხოლოდ აკადემიურ, არამედ არაფორმალურ სივრცეშიც, თუმცა არასამთავრობო სექტორის პროგრამებშიც იკვეთება სპეციფიკური ხარვეზი. რესპონდენტის შეფასებით, ხშირად პროექტები მიმართულია მხოლოდ ეთნიკური უმცირესობებისკენ, რაც მათ იზოლაციას უწყობს ხელს. იშვიათია ისეთი პროექტები, სადაც ეთნიკური უმცირესობები და ქართველები ერთად არიან ჩართულნი, რეალური ინტეგრაციისთვის კი შერეული გარემოს შექმნა აუცილებელია, რისი წარმატებული მაგალითიც იყო ერთობლივი ბანაკები, სადაც კომუნიკაცია და გამოცდილების გაზიარება ბუნებრივად მიმდინარეობდა. ერთობლივ ბანაკებთან დაკავშირებით აღსანიშნავია, სომხური წარმოშობის ერთ-ერთი სტუდენტის გამოცდილება, რომელიც ამბობს, რომ რამდენიმე

დღიანმა ბანაკმა, სადაც ქართველები და სხვა ეთნიკური წარმომავლობის ახალგაზრდები ერთად იყვნენ, მისი კომუნიკაციის დონე მკვეთრად გააუმჯობესა.

“*„შარშან ვიყავი ერთ ბანაკში, მარტო ვიყავი მე სომეხი და ესე ვთქვათ, ქართველი მეგობრები და ისინი, მასწავლეს ესე თქვათ და იმათთან საუბარში რომ ვიყავი, თან ისინიც მასწავლიდნენ რაღაცეებს... ახალგაზრდული ბანაკი იყო, უნივერსიტეტის პროგრამა არ იყო, ოთხ დღიანი იყო თუ სწორედ მახსოვს, ეგ ოთხი დღე, ერთ წელს შევადარებ რა იმიტომ, რომ ბევრი ვისწავლე რა, მართლა“ - კაცი, სომხური წარმოშობის, კერძო უნივერსიტეტის სტუდენტი*

საბოლოო ჯამში, კვლევა აჩვენებს, რომ ეთნიკურად ქართველი მონაწილეები აღიარებენ ეთნიკური უმცირესობების სირთულეებს, გამოხატავენ ემპათიას და მიიჩნევენ, რომ უნივერსიტეტმა სოციალიზაციის სისტემური მიდგომა უნდა შეიმუშაოს, მათ შორის სავალდებულო ფორმის, მოსთხოვონ ლექტორებს ეთნიკურად შერეული ჯგუფების ჩამოყალიბება და ისეთი აქტივობების შექმნა, რომელიც ყველას ჩართულობას მოითხოვს.

3. დასკვნა

კვლევა ცხადყოფს, რომ ქართული ენის არასაკმარისი ცოდნა ფუნდამენტურ გამოწვევად რჩება, რომელიც „დომინოს ეფექტის“ პრინციპით განსაზღვრავს სტუდენტის წარუმატებლობას როგორც აკადემიურ, ისე სოციალურ ჭრილში. პრობლემის საწყისი არა უნივერსიტეტში, არამედ საჯარო სკოლებშია, სადაც სწავლების ხარისხი და განსაკუთრებით ქართული ენის სწავლების ხარისხი დაბალია, სახელმძღვანელოები მოძველებული ან შეუსაბამო, ხოლო პედაგოგები ხშირად თავადაც არ ფლობენ სახელმწიფო ენას სათანადო დონეზე. უნივერსიტეტებში კი სკოლის შედეგად მიღებული პრობლემების გამკლავებას ცდილობენ, რისთვისაც მნიშვნელოვანია 1+4“ პროგრამის არსებობა, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ეს პროგრამა უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობისთვის კრიტიკულად მნიშვნელოვანია, მას გარკვეული უარყოფითი მხარეები გააჩნია, აკადემიური კუთხით ის ხშირად ქმნის „სასათბურე პირობებს“, ვინაიდან მოსამზადებელი კურსის გავლის შემდეგ, პირველ კურსზე გადასვლისას, სტუდენტები ვერ უმკლავდებიან აკადემიურ ტემპსა და ტერმინოლოგიას, რაც აკადემიური მოსწრების გაუარესებას, პასიურობასა და სოციალიზაციისგან თავის შეკავებას იწვევს.

საუნივერსიტეტო სივრცეში ინტეგრაციის ნაცვლად სეგრეგაციის ტენდენცია შეინიშნება. კვლევა ეხმიანება Wheatley (2017) მიგნებებს იმის შესახებ, რომ ინტეგრაცია ორმხრივი პროცესია, სადაც მიმღები საზოგადოების როლი კრიტიკულია. კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ საუნივერსიტეტო სივრცეში ინტეგრაციის ტვირთი კვლავ მხოლოდ ეთნიკურ უმცირესობებს აკისრია, ვინაიდან ეთნიკური უმრავლესობა არ ცდილობს დაარღვიოს არსებული ბარიერები - ენობრივი კომპლექსისა და კულტურული დისტანციის გამო,

სტუდენტები ქმნიან ჩაკეტილ ჯგუფებს („კლასტერებს“), სადაც ურთიერთობენ მხოლოდ თავისივე ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლებთან, რასაც დამატებით ხელს უწყობს მოსამზადებელი კურსების არსებობა, ვინაიდან, ასეთ კურსებზე მხოლოდ ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი ახალგაზრდები სწავლობენ და პირველი სოციალიზაციის ეტაპს ისევ მათი ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლებთან გადიან. მართალია, ქართველი სტუდენტების დამოკიდებულება ძირითადად ნეიტრალურია, თუმცა პასიური. როგორც კვლევა აჩვენებს, ისინი არ იჩენენ ინიციატივას ურთიერთობისთვის, რაც შესაძლოა, უმცირესობების წარმომადგენლებს გაუცხოების განცდას უღრმავებდეს. მათი ურთიერთობა ხშირად შემოიფარგლება მხოლოდ ფორმალური სალექციო სივრცით. აქვე აღსანიშნავია, გენდერული ასპექტები, როცა სოციალიზაციის ბარიერები განსაკუთრებით მკაცრია აზერბაიჯანული და სომხური წარმოშობის გოგოებისთვის გარკვეული რეგიონებიდან, სადაც ოჯახური კონტროლი და კულტურული სტერეოტიპები მათ იზოლაციას კიდევ უფრო ამწვავებს.

კვლევამ გამოკვეთა საინტერესო და საყურადღებო ტენდენცია იდენტობის აღქმასთან დაკავშირებით. მიუხედავად იმისა, რომ სომხური და აზერბაიჯანული წარმოშობის სტუდენტები თავს საქართველოს მოქალაქეებად მიიჩნევენ, ენობრივი ბარიერისა და საერთო კულტურული კონტექსტის (მედია, კინო, მუსიკა) არარსებობის გამო, თავს ზოგჯერ „უცხოელებად“ გრძნობენ. ასევე, საინტერესოა, რომ აზერბაიჯანული წარმოშობის ახალგაზრდებში რიგ შემთხვევებში თურქულ იდენტობასთან სიახლოვის განცდა მეტად შეინიშნება, ვიდრე საქართველოსთან.

კვლევის შედეგები ამყარებს ლიტერატურაში გამოთქმულ კრიტიკას (Social Justice Center, 2021) უნივერსიტეტების როლის შესახებ. ნაცვლად იმისა, რომ საგანმანათლებლო დაწესებულებებმა ინკლუზიური გარემო უზრუნველყონ, კვლევა ინსტიტუციური მხარდაჭერის ნაკლებობას ან არარსებობას აჩვენებს. უნივერსიტეტები, განსაკუთრებით სახელმწიფო სექტორში, ვერ ახერხებენ ინდივიდუალური მხარდაჭერის უზრუნველყოფას. დიდი ზომის სალექციო ჯგუფები (30-40 სტუდენტი) და ფინანსურ მოგებაზე ორიენტირება ხელს უშლის ხარისხიან სწავლებასა და ინტეგრაციას. ხოლო აკადემიური პერსონალის ნაწილს მულტიკულტურულ ჯგუფებთან მუშაობის უნარები არ გააჩნია და ფიქსირდება როგორც არაეთიკური, ისე ღიად დისკრიმინაციული დამოკიდებულებები, რაც სტუდენტებში სწავლის გაგრძელების დემოტივაციას იწვევს. აღსანიშნავია, რომ ლექტორებს მულტიკულტურულ ჯგუფებთან მუშაობის უნარების შეძენაში ხელს არც უნივერსიტეტი უწყობს. როგორც კვლევიდან ჩანს, არ არსებობს ერთიანი სისტემური მიდგომა ამ საკითხისადმი, არც სახელმწიფო დონეზე და არც ცალკეული უნივერსიტეტის დონეზე. როგორც შედეგებიდან ჩანს, უნივერსიტეტში სოციალიზაციის ხელშემწყობი სისტემების არსებობა დამოკიდებულია უნივერსიტეტში ცალკეული მიმართულებების ხელმძღვანელებისა და ცალკეული ლექტორების კეთილ ნებაზე. მაგალითად, უნივერსიტეტში სოციალიზაციის წარმატებულ მოდელად გვევლინება ერთ-ერთ

სახელმწიფო უნივერსიტეტში პროგრამის ხელმძღვანელის მიერ დანერგილი თანატოლთა მენტორინგის სისტემა და „ხელოვნურად შერეული“ ჯგუფების არსებობა, რაც პირდაპირ აუმჯობესებს ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციის ხარისხს.

საბოლოო ჯამში, კვლევის შედეგები ცხადყოფს, რომ მიუხედავად სახელმწიფო პროგრამების არსებობისა, ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაცია ზედაპირულია. სტუდენტები აწყდებიან ორმაგ ბარიერს: აკადემიურ სირთულეებს (ენობრივი კომპეტენციის ნაკლებობისა და დაბალი სასკოლო უნარების გამო) და სოციალურ იზოლაციას (თვითჩაკეტილობისა და მიმღები საზოგადოების პასიურობის გამო). პრობლემის მოგვარება კი მოითხოვს კომპლექსურ მიდგომას: სკოლებში სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას, უნივერსიტეტებში მიზნობრივი სოციალური პროგრამების/მენტორინგის დანერგვასა და აკადემიური პერსონალის გადამზადებას მულტიკულტურულ აუდიტორიებთან მუშაობის კუთხით.

4. გამოყენებული ლიტერატურა

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი. (n.d.). *1+4 საგანმანათლებლო პროგრამა*.
<https://www.smr.gov.ge/ge/page/58/saganmanatleblo-programa>

CRRC Georgia. (2019). *Caucasus Barometer 2019 Georgia*. Caucasus Research Resource Centers.
<https://caucasusbarometer.org/en/cb2019ge/>

Public Defender of Georgia. (2020). *Report on the protection of human rights and freedoms in Georgia*. Public Defender's Office.
<https://www.ombudsman.ge/res/docs/2020040215354966687.pdf>

Social Justice Center. (2021). *Assessment of the "1+4" educational program: Needs and challenges*. Social Justice Center.
https://socialjustice.org.ge/uploads/products/pdf/Systemic_challenges_of_the_education_policy_1606470388.pdf

Tabatadze, S., & Gorgadze, N. (2017). *Bilingual educational policy in Georgia: Can it benefit the process of the integration of society?* Center for Civil Integration and Inter-Ethnic Relations.
https://www.researchgate.net/publication/332013855_Bilingual_Educational_Policy_in_Georgia_Can_it_Benefit_the_Process_of_the_Integration_of_Society

Tabatadze, S. (2019). Challenges of intercultural education in Georgia. *Journal of Education in the Black Sea Region*, 4(2), 15–28.
https://www.researchgate.net/publication/310463533_Intercultural_Sensitivity_of_Primary_School_Teachers_of_Georgia

Wheatley, J. (2017). *The integration of national minorities in the Samtskhe-Javakheti and Kvemo Kartli provinces of Georgia* (ECMI Working Paper No. 103). European Centre for Minority Issues. https://www.ecmi.de/fileadmin/redakteure/publications/pdf/Working_Paper_103.pdf

დანართი

კვლევის მეთოდოლოგია

წინამდებარე კვლევა ეფუძნება თვისებრივ კვლევის დიზაინს, რომელიც მიზნად ისახავს რეგიონებიდან თბილისში სასწავლებლად ჩამოსული ეთნიკური უმცირესობების - ქართული წარმოშობის აზერბაიჯანელი და სომეხი სტუდენტების - იდენტობასთან, ენასთან, სოციალურ და კულტურულ ფაქტორებთან დაკავშირებული ბარიერების სიღრმისეულ შესწავლას. კვლევა სწავლობდა, როგორც უშუალოდ სტუდენტების გამოცდილებებს, ასევე საუნივერსიტეტო პერსონალის, მხარდამჭერი ორგანიზაციების ხედვებს³.

კვლევას რამდენიმე ამოცანა ჰქონდა:

1. რეგიონებიდან თბილისში სასწავლებლად ჩამოსული ეთნიკური უმცირესობების მიერ სახელმწიფო ენის ცოდნის აღქმული დონისა და მათ სოციალურ და აკადემიურ ცხოვრებაზე, სწავლის მოტივაციისა და მიტოვების გადაწყვეტილებაზე, ასევე, საზოგადოებისადმი მიკუთვნებულობის განცდაზე მისი გავლენის შესწავლა;
2. რეგიონებიდან თბილისში სასწავლებლად ჩამოსული ეთნიკური უმცირესობების იდენტობის, სოციალური და კულტურული ფაქტორების გავლენის შესწავლა მათ სოციალიზაციასა და აკადემიურ ცხოვრებაზე, სწავლის მოტივაციასა და სწავლის მიტოვების გადაწყვეტილებაზე, ასევე, საზოგადოებისადმი მიკუთვნებულობის განცდაზე.
3. დამატებითი ბარიერების გამოვლენა, რომლებიც შესაძლოა ზღუდავდეს მათ სრულფასოვან ჩართულობას და ამ ბარიერების გავლენის შეფასებას სასწავლო პროცესზე, სწავლის მოტივაციასა და მიტოვების გადაწყვეტილებაზე, ასევე, საზოგადოებისადმი მიკუთვნებულობის განცდაზე.
4. ეთნიკური უმრავლესობის წარმომადგენელი სტუდენტების დამოკიდებულების შესწავლა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი სტუდენტების მიმართ და მისი გავლენა მათ სოციალურ ურთიერთობებზე, სოციალურ ინკლუზიასა და სასწავლო გარემოზე.
5. უნივერსიტეტის პერსონალის დაკვირვებების შესწავლა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი სტუდენტების სოციალურ ურთიერთობებზე, სოციალურ ინკლუზიასა და სასწავლო გარემოზე;
6. არსებული მხარდამჭერის მექანიზმების გამოვლენა და მათი ეფექტიანობის აღქმული დონის გაანალიზება ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი სტუდენტების აკადემიური წარმატებისა და სოციალური ინკლუზიის ხელშეწყობის თვალსაზრისით.

³კვლევის დიზაინის მიხედვით, გათვალისწინებული იყო სახელმწიფო უწყებების ხედვების შესწავლა, თუმცა მათგან კვლევის ავტორებს პასუხი - კვლევაში მონაწილეობის თანხმობის ან უარყოფის შესახებ არ მიუღია.

კვლევის მიზნებისა და ამოცანების მისაღწევად გამოყენებულია თვისებრივი კვლევის მეთოდები. კვლევის პროცესი ორ ძირითად ეტაპად წარმართა:

1. **სამაგიდე კვლევა:** საწყის ეტაპზე ჩატარდა სამაგიდე კვლევა, რომლის ფარგლებშიც კონტექსტის გასაგებად შესწავლილი იქნა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი სტუდენტების საჭიროებებთან და მათ მდგომარეობასთან დაკავშირებული არსებული პოლიტიკის დოკუმენტები, ანგარიშები და კვლევითი ნაშრომები.
2. **ფოკუს ჯგუფები და სიღრმისეული ინტერვიუები:** შემდგომ ეტაპზე განხორციელდა პირველადი მონაცემების შეგროვება სიღრმისეული ინტერვიუებისა და ფოკუს ჯგუფების საშუალებით.

შერჩევა და სამიზნე ჯგუფები

თვისებრივი კვლევის ფარგლებში გამოყენებული იყო მიზნობრივი და კვოტური შერჩევის მეთოდები, რომელიც ერთის მხრივ, საჭირო კომპეტენციის მქონე რესპონდენტების იდენტიფიცირებას, ხოლო მეორეს მხრივ, განსხვავებული გამოცდილების მქონე სტუდენტების ჩართულობას (მაგალითად, საჯარო და კერძო უნივერსიტეტებიდან, სხვადასხვა რეგიონიდან) უზრუნველყოფს.

კვლევამ შემდეგი სამიზნე ჯგუფები მოიცვა:

- რეგიონებიდან თბილისში სასწავლებლად ჩამოსული აზერბაიჯანული და სომხური წარმოშობის ბაკალავრიატის საფეხურის სტუდენტები;
- ეთნიკურად ქართველი ბაკალავრიატის საფეხურის სტუდენტები, რომლებიც ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ სტუდენტებთან ერთად სწავლობენ;
- აკადემიური პერსონალი და ლექტორები, რომლებსაც აქვთ ეთნიკურად აზერბაიჯანელ და სომეხ სტუდენტებთან მუშაობის გამოცდილება;
- უნივერსიტეტების სტუდენტური სერვისების ცენტრების წარმომადგენლები, რომლებიც პასუხისმგებლები არიან სტუდენტების ინტეგრაციის ხელშეწყობაზე;
- მხარდამჭერი (არასამთავრობო) ორგანიზაციების წარმომადგენლები, რომლებიც ეთნიკური უმცირესობების ჩართულობის საკითხებზე მუშაობენ.

სიღრმისეული ინტერვიუები და ფოკუს ჯგუფები ჩატარდა ონლაინ საკომუნიკაციო პლატფორმა ZOOM-ის საშუალებითა და კვოტური შერჩევის გამოყენებით, ვინაიდან წინასწარ განისაზღვრა ქვეჯგუფები (ეთნიკობა × უნივერსიტეტის ტიპი) და ზუსტი კვოტები (3 ქალი, 3 კაცი), იმისთვის, რომ უზრუნველყოფილი ყოფილიყო ჯგუფების ჰომოგენურობა და მონაწილეებს თავისუფლად შეძლებოდათ საკუთარი მოსაზრებების გაზიარება, ჯგუფები

დაიყო ეთნიკური მახასიათებლებისა და უნივერსიტეტის ტიპის მიხედვით. ჩატარდა 6 ჯგუფური დისკუსია შემდეგი კომპოზიციით:

ცხრილი #1. ფოკუს ჯგუფების კომპოზიცია

უნივერსიტეტის ტიპი	ეთნიკური ჯგუფი	ფოკუს ჯგუფის რაოდენობა	მონაწილეთა მახასიათებლები - სქესი
კერძო	სომხური	1	3 ქალი; 3 კაცი თითო ჯგუფში
	აზერბაიჯანული	1	3 ქალი; 3 კაცი თითო ჯგუფში
	ქართული	1	3 ქალი; 3 კაცი თითო ჯგუფში
სახელმწიფო	სომხური	1	3 ქალი; 3 კაცი თითო ჯგუფში
	აზერბაიჯანული	1	3 ქალი; 3 კაცი თითო ჯგუფში
	ქართული	1	3 ქალი; 3 კაცი თითო ჯგუფში

დისკუსიები მიმდინარეობდა ქართულ ენაზე. ვინაიდან კვლევის ერთ-ერთი მიზანი ენასთან დაკავშირებული ბარიერების შესწავლა იყო, მონაწილეები წახალისებულნი იყვნენ მონაწილეობა მიეღოთ მაშინაც კი, თუ თვლიდნენ, რომ ქართულ ენას სრულყოფილად არ ფლობდნენ. ასეთი შემთხვევებისთვის, დისკუსიებს მოდერატორთან ერთად ესწრებოდა მოხალისე თარჯიმანი.

რაც შეეხება სიღრმისეულ ინტერვიუებს, სულ ჩატარდა 9 სიღრმისეული ინტერვიუ, მიზნობრივი შერჩევის გამოყენებით, ვინაიდან ვინაიდან რესპონდენტები შეირჩნენ სპეციფიკური კომპეტენციისა და როლის მიხედვით (ლექტორი, ადმინისტრატორი, ექსპერტი - არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები). გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი რესპონდენტი რამდენიმე სამიზნე ჯგუფს ერთდროულად წარმოადგენდა (მაგალითად ერთი რესპონდენტი შესაძლოა ყოფილიყო სახელმწიფო და კერძო უნივერსიტეტის ლექტორი, ლექტორი და ამავდროულად უნივერსიტეტის ადმინისტრაციული პოზიციის წარმომადგენელი) (იხ. ცხრილი #2).

ცხრილი #2. სიღრმისეული ინტერვიუების კომპოზიცია

სიღრმისეული ინტერვიუს სამიზნე ჯგუფი	რაოდენობა	რესპონდენტთა მახასიათებლები
სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი	3	ეთნიკურად ქართველი, აზერბაიჯანელი და სომეხი სტუდენტების სწავლების გამოცდილება
კერძო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი	2	ეთნიკურად ქართველი, აზერბაიჯანელი და სომეხი სტუდენტების სწავლების გამოცდილება
სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენელი	1	სტუდენტური სერვისების ცენტრის წარმომადგენელი

კერძო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენელი	1	სტუდენტური სერვისების ცენტრის წარმომადგენელი
მხარდამჭერი ორგანიზაციების წარმომადგენლები	2	არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები

კვლევის ინსტრუმენტი

მონაცემთა შეგროვებისთვის (როგორც სიღრმისეული ინტერვიუების, ისე ფოკუს ჯგუფებისთვის) შემუშავდა ნახევრად სტრუქტურირებული გზამკვლევები, რომლებიც მოიცავდა ღია ტიპის კითხვებს, რომლებიც კვლევის ამოცანებიდან გამომდინარეობდა. სიღრმისეული დისკუსიის წასახალისებლად ასევე გამოყენებული იქნა დამაზუსტებელი ჩაკითხვები.

მონაცემთა ანალიზი

მონაცემთა შეგროვების დასრულების შემდეგ მომზადდა ტრანსკრიპტები, ხოლო შედეგები გაანალიზდა თემატური ანალიზის მეთოდით პროგრამა Nvivo-ს გამოყენებით. ანალიზის პროცესი მოიცავდა რამდენიმე ეტაპს: მონაცემების დეტალურ გაცნობას, სისტემატურ კოდირებას საწყისი პატერნების გამოსავლენად, პირველადი და მეორადი თემების გამოყოფას, და საბოლოოდ, თემებსა და კოდებს შორის ურთიერთკავშირების მოძებნასა და ანალიზს.

ეთიკასთან დაკავშირებული საკითხები

კვლევის პროცესში დაცული იყო ეთიკის სტანდარტები. დისკუსიების დაწყებამდე, რესპონდენტებისგან მიღებულ იქნა ინფორმირებული თანხმობა, მათ დეტალურად განემარტათ კვლევის მიზნები, პროცესის ნებაყოფლობითი ხასიათი და მათი მონაცემების კონფიდენციალურობის პირობები.

ანალიზის ეტაპზე, ტრანსკრიპტებიდან წაიშალა ისეთი ინფორმაცია, რომელიც რესპონდენტთა ვინაობის დადგენის საშუალებას იძლევა. კვლევის შედეგების ანალიზისას გამოყენებულია მხოლოდ ანონიმური დემოგრაფიული მონაცემები (სქესი, ასაკი და ა.შ.) ისე, რომ შეუძლებელი იყოს კონკრეტული მონაწილის იდენტიფიცირება. კვლევაში მონაწილეობასთან დაკავშირებული რისკები მინიმალური იყო - იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე კითხვა არაკომფორტული აღმოჩნდებოდა რომელიმე მონაწილისთვის, მას უფლება ჰქონდათ, არ ეპასუხა მისთვის არასასურველ კითხვაზე.

კვლევის შეზღუდვები

როგორც ნებისმიერ კვლევას, წინამდებარე კვლევასაც გააჩნია გარკვეული შეზღუდვები.

1. **განზოგადებადობა:** ვინაიდან კვლევა ეფუძნება თვისებრივ მეთოდოლოგიას, მიღებული შედეგები არის სიღრმისეული და დეტალურად აღწერს კონკრეტული

მონაწილეების გამოცდილებას. თუმცა, ამ შედეგების სტატისტიკურად განზოგადება საქართველოს ყველა ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელ სტუდენტზე შეუძლებელი იქნება. კვლევის მიზანი ამ შემთხვევაში სიღრმისეული წვდომაა და არა მასშტაბური განზოგადება.

2. **სამიზნე ჯგუფის სპეციფიკა:** კვლევა ფოკუსირებულია კონკრეტულად ეთნიკურად აზერბაიჯანელ და სომეხ სტუდენტებზე. შესაბამისად, მიგნებები შესაძლოა არ იყოს სრულად რელევანტური საქართველოს სხვა ეთნიკური უმცირესობების (მაგალითად, იეზიდების, ოსების და სხვ.) წარმომადგენელი სტუდენტებისთვის, რომლებსაც შესაძლოა სრულიად განსხვავებული გამოწვევები ჰქონდეთ.
3. **გეოგრაფიული არეალი:** კვლევა შემოიფარგლება მხოლოდ იმ სტუდენტებით, რომლებიც რეგიონებიდან თბილისში ჩამოვიდნენ სასწავლებლად. გასათვალისწინებელია, რომ მათი გამოცდილება შესაძლოა, განსხვავდებოდეს იმ სტუდენტებისგან, რომლებიც სხვა საუნივერსიტეტო ქალაქებში (მაგალითად, ბათუმში ან ქუთაისში) სწავლობენ.